მაცნე
სამგზრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N10 (9190) | 11 აპრილი. 2016 წელი | ფასი 50 თეთრი

რას ნიშნავს საქართველოსთვის 1989 წლის 9 აპრილი

6

„მოლგა ვჭრილია ლა ცოცხლზე გვიანია“

მიწამ სოციალურად დაუცველებს თავსატეხი გაუჩინა

2

ბატონო მამუკა, ჩემზე უფრო გიყვართ ტოლები?!

ის ხდება საგანმანათლებლო ინსპექტორში?

კოალიციაში ისეთმა ძალებმა მოიყარეს თავი

4

ეროვნული
ენერგია
ეროვნული
ენერგია
ეროვნული
ენერგია

მიწამ სოციალურად დაუცველებს თავსატეხი გაუჩინა

ნინო ნანიტაშვილი

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე განსახილველ საკითხთა შორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხვნის პროცესი კვლავ აქტუალური რჩება. 4 აპრილს საგაზაფხულო სამუშაოების ირგვლივ ისაუბრა სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა. ტარიელ ოჩხიკიძემ თავის გამოსვლაში სხვა ხელისშემშლელ პრობლემებთან ერთად უამინდობაზეც გაამახვილა ყურადღება:

''წლევანდელი წელი ამინდით არ გვანებივრებს. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მოვიდა თესვის ვადა, მუნიციპალიტეტში მოხვნა ძალიან დაბალია _ მოხნულია 12484.2 ჰექტრიდან _ 1312 ჰექტრი. ეს კიდევ, აღვნიშნავ, დაკავშირებულია უამინდობასთან. მაგრამ მარტო დახვნა არა საკმარისი, შემდეგ საჭიროა მისი 2-3 ოპერაცია: გაფხვიერება და შემდეგ თესვა. რაც დიდ დროს, ძალისხმევას და მექანიზაციის მეტი რაოდენობას მოითხოვს, რომ დროულად მოხდეს სასოფლო-სამეურნეო მცენარეების თესვა. 10 აპრილი-20 მაისი არის ოპტიმალური აგროვადა. ამ ვადის გასვლის შემდეგ დათესილი სიმინდი უკვე განწირულია დაბალი მოსავლისთვის''.

ხვნის პროცესის ნორმალურად წარმართვისათვის შპს ''მექანიზატორიც'' მზადყოფნაშია და კერძო ტრაქტორიც. საწვავის გაიაფების გამო გლეხობა ამ უკანასკნელს უფრო ხშირად მიმართავს. ეწერში გამგებლის წარმომადგენლის, რეზო ივანიაძის პოზიცია ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე თითქმის მისმა ყველა კოლეგამ გაიზიარა.

რეზო ივანიაძე: ''საწვავი საგრძნობლად გაიაფდა. ამდენად, კერძო ტრაქტორზე მიწებს შედარებით იაფად ხნავენ. გლეხობა სახნავ ბარათებს უკან აბრუნებს და ვინაიდან სასუქის ღირებულება მაღალია, ქულები ეწერებათ პლასტიკურ ბარათებზე. ასეთი შემთხვევა ეწერში საკმაოდ ბევრია. 280 ჰექტრიდან ამ დროისათვის 8 ჰექტარია დახნული''.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ბევრ ოჯახს ახალ თავსატეხს უჩენს. გამორჩეულად სოციალურად დაუცველებს. 4 აპრილის ტრადიციულ თათბირზე ახალი არაფერი თქმულა, უბრალოდ, დამატებით შევიტყვეთ, რომ სოციალური დახმარება მთელ რიგ ადამიანებს მხოლოდ იმიტომ მოუხსნეს, რომ ოჯახის სახელზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ირიცხება. კონკრეტულ ფაქტზე დაბა კულაშში გამგებლის წარმომადგენელმა, ლადო სოხანეიშვილმა ორშაბათის ტრადიციული თათბირის მონაწილეების ყურადღება მიიპყრო: ''დაბა კულაშში სოციალური აგენტების მიერ სოციალურად დაუცველი ოჯახების ხელახალი გადამოწმება მოხდა. განმეორებით ჩატარებული შემოწმების შემდეგ უარესი შედეგი მივიღეთ: უფრო მაღალი ქულები ჩამოუვიდათ ოჯახებს, რომლებსაც განსაკუთრებულად უჭირთ. კერძოდ, მამუკა თავაძის ოჯახში მისული ადამიანი 1 კვირა მძიმე სტრესიდან ვერ გამოვა: მოხუცი დედა და ინვალიდი შვილი. რა ნახეს იქ მისულებმა ისეთი, რომ შემდეგ ასე მაღალი ქულები ჩამოუვიდათ?! ისიც ითქვა, რომ მოსახლეობას სოციალურ დახმარებებს იმიტომ ართმევენ, რომ მათ მფლობელობაში მიწები ფიქსირდება, იმას კი არ კითხულობენ, ინვალიდ და სოციალურად დაუცველ ოჯახებს მიწის დამუშავება თუ შეუძლიათ.''

გომის თემში ადგილობრივ მოსახლეობას მდინარე კაპიტონა ისევ უქმნის პრობლემას. ამის შესახებ ტრადიციულ თათბირზე სპეციალისტმა არსენ თავაძემ ისაუბრა: ''შარშან 2015 წელს ჩატარდა გრანდიოზული სამუშაოები მდინარე კაპიტონას გასწვრივ, დაახლოებით, შესრულებულია 420 ათასი ლარის სამუშაო. აღმოფხვრილი იქნა ისეთი პრობლემები, რომელიც 30 ოჯახს უქმნიდა საშიშროებას. ახლა პრობლემა შეუქმნა მდინარე კაპიტონამ სხვა ოჯახებს, რადგან მიმართულება შეუცვალეს, სადაც ჩამოშლის საშიშროებას უქმნის სოფელ დობიროს მოსახლეობას, რა თქმა უნდა, ადიდების შემთხვევაში. ძლიერი წვიმების დროს, საჭიროა, იგივე სამუშაოები ჩატარდეს, რათა მთლიანად იქნას მდინარე კაპიტონასაგან გამოწვეული ზარალი თავიდან აცილებული''.

სოფლის მხარდაჭერის გაიზარდა

თეა ბაბუნაშვილი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხა წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტს 23 177 ლარით გაეზარდა. იგი გასულ წელს 706 294, ხოლო ამჯერად 729 471 ლარს შეადგენს. საკრებულოს ბოლო სხდომაზე მისი სასოფლო თემების მიხედვით განაწილების საკითხი გადაწყდა. მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, ყველა თემსა და მათში შემავალ სოფლებს თანხა გადაუნაწილდა სოფლის ყრილობებზე მიღებული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად.

დიდ ჯიხაიშში 68410, გომში 145538, გორმაღალში 16262, ტოლებში 67769, საჯავახოში 50837, ოფეთში 34743, იანეთში 43465, დაბა კულაშში 39465, ბაშში 27161, ეწერში 45302, მელაურში 47678, ღანირში 44554, ნაბაკევში 72127, გამოჩინებულში 8732 ლარი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას მოხმარდება.

საფინანსო სამსახურის უფროსმა დავით ბაღდავაძემ სოფლებში შესასრულებელი პროექტების მატებით ახსნა ეს ფაქტი, რაზეც საკრებულოს წევრმა, მამუკა ბიბილეიშვილმა განაცხადა, რომ ამ ციფრს პროექტების მატება ვერ გაზრდიდა, იგი მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობით განისაზღვრება. საფინანსო სამსახურის უფროსმა მას დაუდასტურა, რომ სოფლებში მოსახლეობის მატებაც შეინიშნება.

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია კი ფაქტს აზუსტებს და აცხადებს: ''ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამმართველოს უფროსმა კობა ქიმაძემ სამტრედიაში ყოფნისას სიტუაციაში გაგვარკვია და როგორც აღმოჩნდა, ეს თანხა ზოგ რაიონს დაემატა, ზოგსაც მოაკლდა. მაგალითად, ჩვენს მეზობელ ხონს მოაკლდა, ჩვენთან კი 23 ათასით გაიზარდა. სტატისტიკის სამმართველოს მიერ გადაგზავნილ ციფრში თავის დროზე შეცდომა გაიპარა. სამტრედიიდან მოსახლეობის რაოდენობა ნაკლები იყო ნაჩვენები, ხონიდან მეტი. მოგეხსენებათ, ამ თანხებს სოფლის მოსახლეობის სულადობა განსაზღვრავს. 2015 წელს 706 ათასზე ცოტა მეტი იყო გამოყოფილი, წელს კი ეს თანხა 729 ათასს აღემატება.

გამოყოფილი თანხების გათვალისწინებით, სოფლებში პრიორიტეტები უკვე ცნობილია. შესაბამისი სამუშაოებიც განსაზღვრულ ვადებში დაიწყება და დასრულდება.

მეოთხე საჯარო სკოლაში სასკოლო ჟურნალები დაიკარგა!

მეოთხე საჯარო სკოლაში სასწავლო აკადემიური მოსწრების ყველა ჟურნალი დაიკარგა მე-6 დან მე-12 კლასის ჩათვლით. დილით სკოლაში მისულებს, ადგილი, სადაც ჟურნალები ინახებოდა, გატეხილი დახვდათ. გატეხილი იყო სამასწავლებლო ოთახის კარის საკეტიც. ფაქტთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა ნუგზარ კუციამ ინფორმაცია არ მოგვცა. როგორც მან განაცხადა, უნდა დაკავშირებოდა ''მის პრესცენტრს'', თუმცა საბოლოოდ ესეც გადაიფიქრა. ჩვენ იგი საქმის კურსში ჩავაყენეთ, რომ მოკლე ინფორმაცია გაზეთში მაინც გავიდოდა, დირექტორი გააბრაზა. უცვლელად გთავაზობთ ნუგზარ კუციას კომენტარს: ''თქვენ ეს აჟიოტაჟისთვის გინდათ. დაწერეთ რაც გინდათ. მე პოლიციაში მივდივარ.'' როცა პოლიციაში ერთად წასვლა შევთავაზეთ, პასუხად მივიღეთ: ''თქვენთან ერთად არ მინდა!''

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

თეა ბაბუნაშვილი



მგელი თუ მგლობას არ მოიშლის

მგელი შეგჭამს თუ მგლისფერი ძაღლი, ვისთვის სულ ერთია, ვისთვის სულაც არა. ეს სხვა სალაპარაკოა და საკრებულოს ბოლო სხდომაზე გამოტანილ საკითხთან არანაირ შეხებაში არ მოდის. საქმე მხოლოდ მგელს ეხება. სხვადასხვა თემის დეპუტატები საკრებულოში, გამგებლის წარმომადგენლები გამგეობაში, ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ასახელებენ სოფლებში მგლის გამოჩენის და მისგან შინაურ პირუტყვზე ზიანის მიყენების ფაქტებს. ამიტომ აუცილებელიც გახდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რაოდენობის დარეგულირების ღონისძიებების წესის დამტკიცება. საკითხი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ გამოიტანა.

ტრიბუნასთან მის გამოსვლას ოპოზიციონერი ზურაბ ზაქარიაძის რეპლიკა მოჰყვა: ქალბატონი მანანა ''ნაციონალებთან'' ბრძოლაში ისე გამოიწრთო, ახლა მგლებს ებრძვისო. მოგვიანებით, კომენტარისთვის მისულებს, იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ გვითხრა, კამათით დაწყებული სხდომის კიდევ უფრო დაძაბვას მოვერიდე, თორემ... ერთი სიტყვით, მგლებს და ტურებს ვებრძვით, მაგრამ ლომი არსად სჩანსო. _ უნდოდა იქვე ეპასუხა მანანა სირბილაძეს.

რაც შეეხება მგელს, ტყიდან შიმშილმა გამოიყვანა იგი თუ სულაც უტყეობამ, მგლობა არ მოიშალა და შინაურ პირუტყვს დაერია. არის საშიშროება, სახარებაც რომ უკითხო, ადამიანსაც ''გაჰკრას კბილი''. ამიტომ, გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, ადგილობრივ მუნიციპალიტეტში საკანონმდებლო ჩარჩოში ჩატეული საჭირო და შესაბამისი სამუშაოები ჩატარდება. ''საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 მარტის განკარგულებით, გარემოს დაცვის სამინისტროსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რის საფუძველზეც მგლის რაოდენობის რეგულირება მოხდება. არაერთი სოფლიდან მოსულმა შეტყობინებამ საჭირო გახადა ამგვარი ღონისძიებების განხორციელება. განსაზღვრულია ყველა წესი და მათი უგულებელყოფა კანონით გათვალისწინებულ პროცედურებს ითვალისწინებს.'' _ აღნიშნავს მანანა სირბილაძე.

საკრებულოს დებულებით შეიქმნება მუშა ჯგუფი, რომლის რაოდენობა განისაზღვრება გამგებლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მგლის გარემოდან ამოღებასთან დაკავშირებული ღონისძიებები ფინანსდება საჭიროებების გათვალისწინებით. საკრებულოს დებულების საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ მგელი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან მის ქონებას, საფრთხის თავიდან ასაცილებლად მგლის მოკვლა შესაძლებელია დაუყოვნებლივ მოხდეს თავდასხმის მომენტში. ეს პროცესი არ საჭიროებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წინასწარ თანხმობას. გარეული ცხოველის ბუნებიდან ამოღების შემდეგ კი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებას, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. ეს ღონისძიებები უნდა განხორციელდეს ისე, რომ გამოირიცხოს სხვა სახეობის გარეული ცხოველებისათვის ზიანის მიყენება. ცოფის გავრცელების საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რეგულირების ღონისძიების განხორციელების შედეგად გარემოდან ამოღებული მგლის განადგურება ხორციელდება დახოცვითა და შემდეგ დაწვით, დაწვის ადგილის სადეზინფექციო ხსნარით დამუშავებისა და ნარჩენების დამარხვით. დაწვა-დამარხვა მოხდება მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ ადგილებში.

ლომებისა რა მოგახსენოთ და მგელთან ბრძოლის წესები ''დამხეცებულია'' იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მგლობას არ მოიშლის.

თეა ბაბუნაშვილი

ბატონო მამუკა, ჩემზე უფრო გიყვართ ტოლები?!

თეა ბაბუნაშვილი

ვერ გეტყვით, ვინმეს დაინტერესება იყო, თუ სხვა "ობიექტური" ან სუბიექტური მიზეზი ჰქონდა, "სამტრედიის მაცნე", ალბათ, შეგნებულად, სხვას ვერაფერს ვაბრალებთ, ვერ მოხვდა ვაზისუბნელი მოსახლეობის გამგეობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. ეს უკვე მეორედ! ვერიდებით არაკომპეტენტურობაც ვახსენოთ. მოსახლეობის წინააღმდეგობა იმ საკითხთან დაკავშირებით, რაზეც წერილშიც არის საუბარი, უკიდურესად უარყოფითია. განვითარებულ მოვლენებს თვალს, რა თქმა უნდა, მივადევნებთ, შესაძლებლობების და ამიერიდან "შეუძლებლობების" ფარგლებშიც!

მამუკა ბიბილეიშვილის განცხადებამ ხმაურით დაიწყო საკრებულოს ბოლო სხდომა. იგი ვაზისუბანში, მდინარე ხევისწყლიდან ღორღის გატანაზე მოსახლეობის პროტესტს ეხებოდა. ორგანიზაცია, რომელმაც ტენდერი მოიგო, 500 ათას კუბურმეტრ ბალასტს ამოიღებს მდინარიდან. ეს მიუღებელი აღმოჩნდა ვაზისუბნელებისათვის თავიანთი დამოკიდებულება მოსახლეობის ერთმა ნაწილმა რამდენიმე დღის წინ მათთან საკითხში გასარკვევად ჩასულ მუნიციპალიტეტის გამგებელთან და მის თანმხლებ პირებთან დააფიქსირეს. ადგილობრივი მედია-საშუალებებიდან ყველა ვერ გახდა ამ შეხვედრაზე დასწრების "ღირსი", ამიტომ მხოლოდ გადმოცემით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობის განცხადებები საკმაოდ მწვავე ყოფილა. ეს დადასტურდა კიდეც ოპოზიციონერი დეპუტატის, მამუკა ბიბილეიშვილის მიერ, რადგან, როგორც მან განაცხადა, შეხვედრის სიმწვავის გამო "მოსახლეობა თვლის, რომ ეს პროცესი უარყოფითი შედეგების მომტანი იქნება სოფლისთვის. მათ საკითხში გასარკვევად თავად მოითხოვეს შეხვედრა რაიონის ხელმძღვანელობასთან. შეხვედრას ესწრებოდა ტოლების თემის მაჟორიტარი ბატონი ილია მჟავია. რატომღაც აპელირებენ ეს ადამიანები, გამგებლის აზრიც ასეთია, რომ საკითხის გამწვავება "ნაციონალების" პროვოცირებულია. მოსახლეობამ თავად მოგვმართა ჩვენ. როგორც ვიცი, მათ სურვილი ჰქონდათ, საკრებულოს პირველი პირებისთვის მიემართათ. რატომ აძლევს თავს უფლებას ილია მჟავია, განაცხადოს, რომ თითქოს ჩვენგან არის მოსახლეობის პროტესტი პროვოცირებული და ქვენა გრძნობები გვამოძრავებს. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ დეპუტატი არის ჩართული ამ საკითხში ცუდად და დასაქმების დაპირებით მოსახლეობისგან ხელმოწერებს აგროვებს ბალასტის ამოღების თანხმობაზე. თავის მხრივ ადგილობრივები თავად აგროვებენ ხელმოწერებს მდინარიდან ნატანის ამოღების შესაჩერებლად. ვითხოვთ განმარტებებს როგორც ილო მჟავიასგან, ასევე გამგებლისგან, საიდან აქვთ ინფორმაცია და რატომ აძლევენ თავს მსგავსი განცხადებების გაკეთების უფლებას."

პასუხმა არც ტოლების თემის მაჟორიტარ ილია მჟავიასგან დააყოვნა: "მე ვფიქრობდი და ბიუროს სხდომაზეც გავაკეთე განცხადება, რომ მდინარიდან ღორღის ამოღება საზიანო იყო, მაგრამ როცა ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ დოკუმენტაცია გაგვაცნო, გარემოს დაცვის სამინისტროსა და გეოდეზიურ დასკვნებს გადავხედეთ, დავრწმუნდით, რომ ბალასტის გატანით არაფერი შავდებოდა. წარმოგვიდგინეს პროფესორებისა და ექსპერტების დასკვნები. ისინი მე ხელთა მაქვს და მოსახლეობასაც გავაცანი. მათში არ არის საუბარი არავითარ ნახევარი მილიონი კუბურიმეტრის გატანაზე და არავითარ 10 მეტრზე მდინარის სიღრმეში ჩასვლაზე, ჩავლენ მეტრ-ნახევარ სიღრმეზე. დასკვნების საფუძველზე კომპანიას სამუშაოების დაწყების სრული უფლება აქვს. აგრეთვე, დადეს პირობა, რომ 70 ადგილობრივს დაასაქმებენ, დაასაქმებენ დურგლებს, შემდუღებლებს, მძღოლებს. გარდა ამისა, ადგილობრივები იქნებიან დაცვის სამსახურში. რა არის ამაში ცუდი, გამაგებინეთ! და ერთიც, ბატონო მამუკა, თქვენ ჩემზე მეტად გიყვართ ტოლები და ჩემზე მეტად ზრუნავთ მასზე? რაც შეეხება იმას, რა ვთქვი მე: ჩემმა ძველმა მეგობარმა გივი ღაღანიძემ საქვეყნოდ განაცხადა შეხედეთ, რა მოხდება ტოლებში ამ ბალასტის გამოო. საკუთარ თავს დღეს დანაშაულად ვუთვლი, რომ თავის დროზე გივი ღაღანიძემ ტოლებში არჩევნები მოიგო. მოიგო იმიტომ, ყველამ იცოდა ჩემი ძმაკაცი რომ გახლდათ. ახლა გპირდებით, თუ რამეს დაპირებს, 67 ხმას წამოიღებს იქედან!"

დეპუტატის ამ განცხადებას უნამუსო უწოდა "ნაციონალმა" დავით ნიკოლეიშვილმა და დასძინა: "ამ არჩევნებში ტოლებში ვიყრი კენჭს და ნახე, თუ იქ არ მოგიგო. შენ სადაც იდექი ბირჟაზე, იქ უნდა დაგაბრუნო!" თან საკუთარი სიმამრის "სუსის" წარმომადგენლებით დაშინება წამოაყვედრა ტოლების დეპუტატს. ილია მჟავიამ კი განაცხადა, რომ მისი მხრიდან არც ასეთ რამეს ჰქონია ადგილი და ანალოგიურად დაპირება შეეძლო მიეცა, რომ საჯავახოში მოუგებდა კარსმომდგარ არჩევნებს საჯავახოს დეპუტატ დავით ნიკოლეიშვილს. "მოვა დრო და ყველა დაინახავს, რომ თქვენი დასკვნა ჰაერში გამოკიდებული დარჩება. ამდენი ინერტული მასალა ტოლების თემიდან რომ გავა, მდინარე სოფელს სულ დაძირავს. ეს თქვენი პირადი დაინტერესებაა და ეს ყველამ იცის." – შეეპასუხა ილო მჟავიას ავთო თადუმაძემ. საკრებულოს წევრებს კი მეტი დაკვირვებისკენ მოუწოდა საკითხთან მიმართებაში.

რაც შეეხება ბირჟაზე დგომას, "ნაციონალურ მოძრაობას" კორექტულობისკენ დეპუტატმა ჯონი ახობაძემ მოუწოდა. იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძემ კი "ნაციონალური მოძრაობის" გასაგონად განაცხადა: "ისე ნუ წარმოაჩენთ თავს, რომ თქვენ ხართ ქვეყნის გულშემატკივრები და ჩვენ მტრები, ბატონებო!"

ოპოზიციურმა სპექტრმა გამგებელიც დაადანაშაულა, მათი აზრით, არასწორი განცხადების გაკეთებაში. ბუნებრივია, კითხვა რა ხდება ვაზისუბანში და მართლა დაბრალა თუ არა ვალერი ფოცხვერიამ "ნაციონალებს" ბუნტისთვობა, მასაც დავუსვით. "ინერტული მასალის ამოღების თაობაზე ლიცენზიას გასცემს გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამისი დეპარტამენტი. ლიცენზიის გაცემა არაერთი შემოწმების და ექსპერტის დასკვნის საფუძველზე ხდება. გამგეობას ამ კუთხით წვდომა ნაკლებად აქვს. როცა ღორღის ამოღებით დაინტერესებულმა პირმა მოგვმართა, ჩვენი მხრიდან დავავალეთ გამგებლის წარმომადგენელს, ტოლების თემში მოსახლეობის აზრის გასაგებად სოფლის ყრილობა ჩაეტარებია. მოსალოდნელი საშიშროებიდან გამომდინარე, მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილი წავიდა წინააღმდეგი. მე არ გახლავართ სპეციალისტი, მაგრამ კომპეტენტური დასკვნები არ გვაძლევს შიშის საბაბს. მით უმეტეს, რომ გარემოს დაცვის სამინისტრომ ჩვენი მოთხოვნით საქმის სპეციალისტები კიდევ ერთხელ გამოუშვა ადგილობრივებთან შესახვედრად." – განაცხადა პრობლემის ირგვლივ ვალერი ფოცხვერიამ. რაც შეეხება ოპოზიციის ბრალდებას, იგი თვლის, რომ "იქ, შეხვედრაზე, ძირითადად, ადგილობრივების ის კატეგორია იყო გამოსული, დღეს ოპოზიციაში მყოფ წინა ხელისუფლებასთან ახლო ურთიერთობები რომ ჰქონდათ. თუმცა, ეს არ მაძლევს იმის საფუძველს, რომ მათ ამის გამო დაგეგმეს პროტესტი და მას ოპოზიცია რეჟისორობს. ერთი რამ დანამდვილებით შემიძლიათ გითხრათ, იქნება თუ არა ვაზისუბანში კარიერი, ჩემს ინტერესს არ წარმოადგენს. დამთავრდა ის დრო, როცა გამგებლები და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, მსგავს სიტუაციებში წილში სხდებოდნენ. ახლა ეს დრო აღარ არის, ვალერი ფოცხვერია არავისთან წილში არ ზის!"

ამ საუბრების შემდეგ, ალბათ, მთავარი სოფლის ინტერესების დაცვაა, თორემ პოზიცია-ოპოზიციის მსგავს კინკლაობას კიდევ არაერთს მოვესწრებით.

5 მილიონიანი პროექტის მორიგი ეტაპი დაიწყო

მსოფლიო ბანკის ფარგლებში დაგეგმილი პროექტის განხორციელება შემდეგ ეტაპზე გადავიდა. სამტრედია-ჭაგნის გზის მონაკვეთზე ასფალტის ახალი ფენის დაგება დაიწყეს. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია თავის მოადგილე დავით ბახტაძესთან, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროს ზურაბ გოგიასთან, მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან შალვა არზუმანიანთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად სამუშაო პროცესს ადგილზე გაეცნო.

როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ტენდერში გამარჯვებული კომპანია "ინდიკო" მიმდინარე სამუშაოების დასრულების შემდეგ, სამტრედიაში კიდევ ერთ პროექტს განახორციელებს. 2 მილიონ-ნახევრიანი მუნიციპალური პროგრამა, მიმდინარე წელს ქალაქის ტერიტორიაზე 27 ქუჩის რეაბილიტაციას ითვალისწინებს. ასევე, გზები შეკეთდება სოფლების: კორმაღლის, ჩხენიშის, ნინუკუთხის, ეწრის, ბაშის, ჭაგნის მიმართულებებით. მშენებლობა უახლოეს 2-3 თვეში დამთავრდება.

ზურაბ გოგიას განმარტებით მიმდინარეობს როგორც ასფალტის მეორე ფენის დაგება, ასევე საწრეტი არხების მოწესრიგება და მოსახლეობის ეზოების მიმდებარედ ბოგირების შეკეთება. დაბა კულაშის ტერიტორიაზე კი მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნის საფუძველზე პროექტში დამატებით 297 გრძივი მეტრის არხების მშენებლობაც ჩაისვა.

მშენებლობა აქტიურ ფაზაშია და მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული 5 მილიონიანი პროექტის განხორციელებას, უამინდობის გარდა, ხელს ვერაფერი შეუშლის.

ქეთევან ჭელიძე

კოალიციაში ისეთმა ძალებმა მოიყარეს თავი

ნინო ნანიტაშვილი

არჩევნებამდე 7 თვით ადრე უკვე რეალური გახდა პოლიტიკური მოვლენა, რაზეც ჯერ კიდევ 4 წლის წინ ღიად საუბრობდნენ: ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსულმა კოალიციამ დაშლა დაიწყო.

უმრავლესობა პირველმა ჯერ კიდევ "მწვანეთა მოძრაობიდან" გიორგი გაჩეჩილაძემ დატოვა. შემდეგი "თავისუფალი დემოკრატები" იყვნენ. შიდა კოალიციური კონფლიქტების გამო ალასანიას პარტიამ არა მარტო კოალიცია, უმრავლესობაც დატოვა და ოპოზიციაში გადავიდა.

3 წლისა და 5 თვის თავზე კოალიცია "ქართული ოცნება" საბოლოოდ დაიშალა. ამ შემთხვევაში პირველი "რესპუბლიკური პარტია" აღმოჩნდა. მათ კვალდაკვალ "ფორუმი" მიჰყვა. გასული პარტიების ბედი "კონსერვატორებმაც" გაიზიარეს.

რაც შეეხება "მრეწველებს", კოალიციიდან გასვლა ოფიციალურად ჯერ არ გამოცხადებულა. სავარაუდოდ, ისინი ყრილობას ელოდებიან. რასაც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო" ამ ეტაპზე უკვე გამოაცხადა, რომ დამოუკიდებლად აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

განსხვავებული პოლიტიკური მრწამსისა და პოლიტიკური მსოფლმხედველობის პარტიები ყოველთვის ღიად საუბრობდნენ იმაზე, რომ 2012 წლის პირველი ოქტომბრისთვის მათი გაერთიანება საერთი მტრის წინააღმდეგ ბრძოლით იყო განპირობებული. ბუნებრივია, სხვაგვარი გამართლება არც ჰქონია მემარცხენე და მემარჯვენე პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას. რასაც "ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებიდან ჩამოშორება და ამით ქვეყნის გადარჩენა ედო საფუძვლად. მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს საზოგადოება სხვაგვარად აფასებს. საერთო აზრი კი ის არის, რომ ამომრჩეველი ნორმალურ მოვლენად მიიჩნევს კოალიციის დაშლას, რადგან მსოფლიო ისტორიას მსგავსი ფაქტები უხსოვარი დროიდან შემორჩა. საკმარისია ამის მაგალითად მოვიყვანოთ ძველ რომში ტრიუმვირატის ორჯერ დაშლა.

დავუბრუნდეთ 21-ე საუკუნის საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. საპარლამენტო არჩევნებამდე 6 თვე გვაშორებს. რა შეფასებებს აკეთებენ სამტრედიაში პოლიტიკური პარტიების ლიდერები, "სამტრედიის მაცნე" რამდენიმე მათგანს დაუკავშირდა და შეფასებები სთხოვა.

რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე იმედა გოგავა ღიად საუბრობს რომ "რესპუბლიკურ პარტიაზე" "ორკესტრირებული" შეტევა მიმდინარეობს. მართალია, თავიანთ პოლიტიკურ მომავალს იმედის თვალით უყურებს, პრესასთან მაინც უჭირს ემოციების დაფარვა და დაპირისპირების შემთხვევაში სრულ საბრძოლო განწყობილებას აცხადებს:

"ჩვენ, "რესპუბლიკურმა პარტიამ", ღიად და პირდაპირ ვთქვით, რომ "ქართული ოცნების" დაანონსებულ ხელმძღვანელს პრემიერ კვირიკაშვილს ვგულშემატკივრობთ. თუ კვირიკაშვილის პოლიტიკური გემოვნებით იქნება განახლებული "ქართული ოცნება", თუ მის ხაზს ატარებს ის ხალხი, ვინც ამჟამად ყველაზე გავლენიანია "ქართულ ოცნებაში", ვფიქრობ, რომ ეს კარგი იქნება პარტიისთვის და ქვეყნისთვის.

რესპუბლიკური პარტია მუდმივად განახლებადია. ჩვენთან არის სამი თაობის ერთობა და ამ სამ თაობაში ახალგაზრდების, კვალიფიციური ადამიანების წილი პარტიის მმართველობაში და მომავალ საპარლამენტო შემადგენლობაში იქნება მზარდი.

"რესპუბლიკური პარტია" დისიდენტური წარმომავლობის პატრიოტული ორგანიზაცია ვართ. არავის ვუგულშემატკივრებ იმაში, რომ საბჭოთა, შევარდნაძისა და აბაშიძის კადრებით დააპიროს პარლამენტის მომარაგება. ჩვენ პროგრესზე, ევროპაზე ორიენტირებული ძალა ვართ. "რესპუბლიკელები" ესაა გზა ევროპისკენ, მაგრამ მხოლოდ "რესპუბლიკელებს" არ მიჰყავთ ქვეყანა ევროპაში. მე მინდა პარტნიორები საქართველოს ევროპული არჩევანისთვის.

უკვე ვთქვი, რომ "ორკესტრირებული" შეტევა მიმდინარეობს "რესპუბლიკურ პარტიაზე". უშუალო შემკვეთები, აგენტები, გავლენის აგენტები, გულწრფელად შემცდარი ადამიანები გვიტევენ. 1978 წლიდან გვეჭერდნენ, გვიტევდნენ, კომუნისტებმა ვერ დაგვამარცხეს. ვერც ერთმა მომდევნო ხელისუფლებამ "რესპუბლიკელები" ვერ გაქრო პოლიტიკური რუკიდან. არავის ვუსურვებ ჩვენს გადამტერებას და არ ვაპირებთ რაღაც მტრული განწყობები გვქონდეს".

მამუკა თავაძე, "ეროვნული ფორუმის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე: "რესპუბლიკელების" შემდეგ კოალიციიდან გამოსვლის განცხადება "ეროვნულმა ფორუმმაც" გაიკეთა. ასეთი გადაწყვეტილება თავად "ქართულმა ოცნებამ" მიიღო, კენჭი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად ეყარა. ამ ეტაპზე ჩემი სუბიექტური შეფასებებისაგან თავს შევიკავებდი. 6 თვეა საპარლამენტო არჩევნებამდე, წინასწარი პროგნოზის გაკეთება ძნელია. ჯერჯერობით, ჩვენ ისევ ერთი გუნდი ვართ და საერთო საქმეს ვემსახურებით".

კობა ძიძიგური, "კონსერვატიული პარტიის" იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე: "მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე, როცა "რესპუბლიკურმა პარტიამ" გააკეთა განაცხადი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის შესახებ, როცა "ქართულმა ოცნებამ" ასევე გააკეთა ანალოგიური განცხადება, ნიშნავს იმას, რომ კოალიცია დაშლილია. ასეთ შემთხვევაში "კონსერვატულმა პარტიამ" კომიტეტის წევრების შეკრებაზე კოალიციიდან გასვლის თაობაზე მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ, ამავე დროს, იგი რჩება უმრავლესობაში, რომლის შენარჩუნებაც მიგვაჩნია სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვად".

კომიტეტის სხდომის შემდეგ "კონსერვატიული პარტიის" თავმჯდომარემ, ზვიად ძიძიგურმა ჟურნალისტების წინაშე პარტიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოაცხადა: "ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიგვაჩნია პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, კოალიციის დაშლის მიუხედავად, "საქართველოს კონსერვატიული პარტია" რჩება უმრავლესობაში და ვაგრძელებთ ყველა იმ რეფორმის მხარდაჭერას, რომელიც 2012 წლიდან კოალიციურ რეჟიმში დავიწყეთ. ხელისუფლებასთან ერთად ვინაწილებთ პასუხისმგებლობას ამ რეფორმების თანმიმდევრულად და წარმატებით განხორციელებაზე.

ჩვენი ყველა სამომავლო მოქმედება თანხვედრი იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებთან, უპირველესად კი ევროპასთან ინტეგრაციის პროცესთან და ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების სტაბილურ განვითარებასთან.

პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, დაიწყოს კონსულტაციები, თუ რა ფორმით მიიღებს პარტია მონაწილეობას 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში".

კოალიციის დაშლას ლიზა კრავეიშვილი კოალიციაში არასასურველი ძალების თავმოყრასაც უკავშირებს. "მრეწველთა" ერთ-ერთი ლიდერი, გოგი თოფაძის ღვაწლი ქართულ პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესად მიაჩნია: "გოგი თოფაძე არის ძალიან პრაგმატული ადამიანი, დროს გასწრებული აზროვნებაში, თავის ქვეყანაზე უზომოდ შეყვარებული. აქვს არაჩვეულებრივი ხედვა. მას მიაჩნდა ეს იყო საჭირო და გააკეთა ის ყველაფერი, რაც სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას. ზუსტად ვერ გეტყვით, რას აპირებს, ნაკლებად არის ცნობილი "მრეწველთა" სამომავლო გეგმები. ჩემს დონეზე ცალკეული საკითხები, ბუნებრივია, არ წყდება. მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს საღად ვაფასებ, ისეთმა ძალებმა მოიყარეს თავი, აუცილებელიც იყო კოალიციიდან ცალკეული პარტიების გასვლა. გოგი თოფაძე არის პიროვნება, რომელსაც აქვს ქვეყნის განვითარების არაჩვეულებრივი სტრატეგიული გეგმა. მე ის მეკვირდა, რომ კაცი, რომელიც ბიძინას გვერდით ედგა და ქვეყანა ისე ვერ ვითარდება, როგორც საჭიროა, რა ხდება? რაღაც კითხვის ნიშნები იყო და ალბათ, ეს კითხვის ნიშნები ამის შემდეგ მოიხსნება".

მოულოდნელს და განსაკუთრებულს ქვეყნის პოლიტიკაში განვითარებული მოვლენების ირგვლივ ვერაფერს ხედავს ვალერიანე ფოცხვერია, "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე: "პარტიების დამოუკიდებლად გამოსვლა მოსალოდნელი იყო. კოალიციამ გარკვეული ეტაპი გაიარა, შეასრულა თავისი მისია: ძირითადად, "ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებიდან მშვიდობიანი გზით წასვლა. ვფიქრობ, შეასრულა თავისი მისია და ამოწურა თავისი შესაძლებლობები. რაც შეეხება დამოუკიდებლად გასვლას, ყველამ უნდა შეძლოს ბარიერის გადალახვა. მე ვფიქრობ, კოალიციაში შემავალ პარტიებს ბარიერის დამოუკიდებლად გადალახვის პოტენციალი აქვს. პარტია "ქართულ ოცნებას" უმრავლესობით მოსვლის შანსი გააჩნია".

პარტიების ცალ-ცალკე ყოფნა ყველაზე მეტად ოპოზიციურ ძალებს უნდა აინტერესებდეთ. თუმცა, დაუშლელობის შემთხვევაშიც ზოგიერთი მათგანი საპარლამენტო არჩევნებში რეალურ კონკურენტად სახელისუფლებო პარტიას ვეღარ მოიაზრებდა.

ემზარ შუბლაძე: "ეს გარდაუვალი პროცესი იყო. საბოლოო ჯამში ყველა კოალიცია იშლება, მაგრამ "ქართული ოცნების" დაშლა განპირობებული იყო მომავალი საპარლამენტო სიიდან გამომდინარე. ჩემი პოზიციაა, იმ პარტიებმა, რომლებმაც კოალიცია დატოვეს, ვერ მიიღეს მანდატების სასურველი რაოდენობა.

"ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო" ფიქრობს, რომ მათ აქვთ მხარდაჭერა და კოალიციის დაშლა მათ დამარცხებას არ გამოიწვევს. ეს არ არის მარტო ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლის აზრი. მნიშვნელობა არ ჰქონდა, კოალიცია დაიშლებოდა თუ არა, ამომრჩევლის მხარდაჭერა არ ექნებოდა. ამას დავინახავთ 8 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებში".

პარტია "ქართული ოცნების" ლიდერები თვლიან, რომ კოალიციის დაშლით ამომრჩეველი არ დაზარალდება. ოპოზიციის და არა მარტო მათი მხრიდან დასრულდება საუბარი იმაზე, რომ ერთი პარტიის ხათრით ხმა მეორე პარტიამაც მიიღო. 2012 წლის პირველი ოქტომბრისთვის შექმნილი კოალიციიდან პარტიების გასვლას კახი კალაძე 2016 წლის 2 აპრილს დადებული პოსტით შემდეგნაირად გამოეხმაურა: "სამწუხაროდ, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს ყოველთვის არასწორი თვალით უყურებენ ხოლმე, ყოველთვის ხდება საუბარი იმაზე, რომ ხდება რაღაც ცუდი: ამ ყველაფერს ასე არ უნდა შევხედოთ. ეს ნორმალური პროცესია, რაც მიმდინარეობს ქვეყანაში და რაც მნიშვნელოვანია. ამ ყველაფრით ამომრჩეველი არ ზარალდება. 2011 წელს ბიძინა ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანდა ყველა ის პარტია, ვინც კოალიციაშია და ვინც აღარ არის. დღეს დასრულდება იმაზე საუბარი, რომ ერთი პარტიის ხათრით მოხდა ხმის მიცემა მეორესთვის, მესამესთვის და ა. შ. ყოველთვის ვამბობდი, რომ რაღაც დროის შემდეგ კოალიცია დაიშლებოდა და ეს იქნებოდა ნორმალური პროცესი".

ჰუმანიტარული ტვირთი ჰუმანიტარული გაერთიანებისგან

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, კობა ძიძიგურმა, პირადი ნაცნობობის მეშვეობით სამტრედიას ქველმოქმედი მეგობარი შესძინა. ეს "ინვესტიციებისა და ჰუმანიტარული პროექტების გაერთიანებაა", ანუ ფონდი, რომელსაც გიორგი ატაშვილი ხელმძღვანელობს და ყოველთვის მზადაა დაეხმაროს მათ, ვისაც დახმარება ყველაზე მეტად სჭირდება. თუ აქამდე ეს ორგანიზაცია მხოლოდ მცხეთის ააიპი იყო, ახლა მცხეთა-თიანეთის რეგიონს მოიცავს.

ჰიგიენური და პირველადი მოთხოვნილების საშუალებები, მშრალი საკვები და რაც ყველაზე მთავარია, ეტლები შშმ პირებისთვის უკვე მეოთხედ ამ ორგანიზაციის მეშვეობით შემოვიდა სამტრედიაში. სოციალურ სამსახურში გაკეთებული განაცხადის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, მათ, ვინც ამგვარ დახმარებას საჭიროებს, პრობლემა ადვილად უგვარდება. უკვე მეოთხედ 8 ეტლი რამდენიმე დღის წინ ჩამოიტანა კობა ძიძიგურმა მუნიციპალიტეტში. 21 კი უკვე ჩამოტანილი და დარიგებულია სამტრედიელი შშმ პირებისთვის. "პირველად შარშან, შემოდგომაზე შემოვიტანეთ ეტლები. ურთიერთობები, რა თქმა უნდა, გაგრძელდება. ეს ეტლები და სხვა დასახელების ჰუმანიტარული ტვირთი ამერიკიდან წელიწადში ორჯერ შემოდის ამ ორგანიზაციას. ამიტომ, ჩვენც გარკვეული პერიოდულობის დაცვით გვიწევს მისი ჩამოტანა." _ ამბობს კობა ძიძიგური. მუნიციპალიტეტის გამგებელი კი დასძენს, რომ "ამ ორგანიზაციასა და ჩვენს შორის შუამავალი ბატონი კობა გახლავთ. ტვირთის ტრანსპორტირება ადგილობრივი ძალებით დავაფინანსეთ. ამ ეტაპზე 13 ეტლი გვჭირდებოდა, მაგრამ 8-ის მეტი ვერ გამოგვიგზავნეს, არ იყო საშუალება. შემოდგომაზე ის დანარჩენიც მიიღებს მას, ვინც ამ ჯერზე ვერ დაკმაყოფილდა."

ამ ეტაპზე, სოციალური ფონის გათვალისწინებით, ეტლები იმ პირებს გადაეცემათ, ეკონომიურადაც უფრო რომ უჭირთ.

თეა გაბუნავილი

წაჯაღ თურქეთში, მოუკვდა ჯაცხონი!..

დაჯახიმებული ვახ მას შემდეგ, hაც აქ გამოველი სავაჭhოდ

თეა ბაბუნაშვილი

19 წლიანი ჟურნალისტური გამოცდილება საშუალებას მაძლევს ვთქვა, "აქილევსის ქუსლი", "დაკანონებული უკანონობა", "კარგად დავიწყებული ძველი" და სხვა ეპითეტებით მონათლული ამ პრობლემის თავი და ბოლო ზეპირად ვიცით მედიის წარმომადგენლებმა, სხვადასხვა დროს ერთი და იგივე შინაარსითა და ხელწერით განხორციელებული სცენარებიდან.

საქმე გარე ვაჭრობას ეხება. ამ ერთი წინადადებით, ალბათ, ჩვენი ერთგული მკითხველიცა და ისინიც, უგზეთოდ რომ იციან საქმის არსი, უკვე მოვლენების განვითარების დღის წესრიგს სცნობენ. დანარჩენ საზოგადოებასთან ერთად, ავტორიცა და მკითხველიც, სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩებით, თუ შედეგის განსაზღვრაში შევცდებით და

პრობლემა ყველა მხარისთვის ხელსაყრელად ამ ხელისუფლების შემთხვევაში მაინც მოგვარდება. ის კომენტარები კი, ცოტა ქვემოთ უცვლელად რომ შემოგთავაზებთ, გარემოვაჭრეებს

ეკუთვნით. მათი პათოსი ჟურნალისტებზე გააბრაზებს მათ, ვინც ვფიქრობთ, რომ გაბრაზდება. მედიაზე ნეგატივის გადაბრალება ხომ დღეს გამოსავალიც გახდა. მაღალჩინოსნებისგან ხმამაღლა გამოხატული რეაქციები კი მწვავე არ იქნება ქვეყანაში მედიის თავისუფლებით თავის მოსაწონებლად.

ბოლო წლებში დღის წესრიგიდან ამოღებული თემა კვლავ იქცა მის ნუმერაციაში ერთ-ერთ პირველად. გამგეობის შესაბამისი სამსახურები გარემოვაჭრეების გასაფრთხილებლად რამდენიმე დღის წინ გავიდნენ და ხელი მოაწერინეს გაფრთხილების ფურცელზე, რომ თუ 10 კალენდარული დღის მანძილზე "არ აღივვეთება სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა, ან საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის თვითნებური შეზღუდვა", გარემოვაჭრეების მიმართ შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55-ა ან 152-2 მუხლების საფუძველზე. ეს კი გულისხმობს ფიზიკური პირების დაჯარიმებას 500, ხოლო იურიდიული პირებისა 2 000 ლარის ოდენობით. დაჯარიმებიდან 20 დღეში მისი გადაუხდელობა საჯარიმო თანხის გაზრდას ფიზიკური პირებისთვის 3, იურიდიული პირებისთვის კი 4 ათას ლარამდე გამოიწვევს.

ხელმოწერით ჩაბარებას ადასტურებდნენ, თუმცა, გარემოვაჭრეები ერთხმად აცხადებდნენ, რომ აგრარული და ყოფილი პურის ქარხნის ტერიტორიაზე ახლად გახსნილი ბაზრის მეპატრონეების შემოთავაზება, გარკვეული დროის განმავლობაში გადასახადის განახევრების თაობაზე, მათთვის არც სარწმუნო იყო და არც მისაღები. და ეს იმ მიზეზით, რომ აგრარული ბაზარი მოუწესრიგებელია, უკეთესი პირობები არც იქ ექნებათ. 4 ლარიანი "ჩეკის" ყოველდღიურად გადახდა მოვაჭრეების შესაძლებლობებს აღემატება, ხშირად დღის განმავლობაში ამდენს ვერც ვაჭრობენ. აქ იმ ბაზრიდან გამოქცეულები ვდგავართო, _ იმეორებდა ყოველი მეორე. იმასაც ამატებდნენ, რომ ბაზრის მფლობელების დაპირებები უკვე კარგად ნაცნობია მათთვის, მაგრამ ფიცის ბოლო ყოველთვის აკვირვებდათ.

გამგეობის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ნოე ივანიაძე, მათი სკეპტიკური დამოკიდებულების გასაქარწყლებლად, კვლავ და კვლავ იმას აცხადებს, რასაც მისი არაერთი წინამორბედი: "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მთელი ბუკეტია ამ გაფრთხილებაში თავმოყრილი. იმ სამსახურს, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, დაემატა ფუნქცია, ჩაბარებული დოკუმენტის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში კანონით მინიჭებული უფლებებით რეაგირებისა. გარევაჭრობას უკვე სახელმწიფო მიწის თვითნებურად სარგებლობისა და მოძრაობის შეფერხების კვალიფიკაცია ეძლევა. საჯარიმო სისტემა აუცილებლად ამოქმედდება. რაც შეეხება გარემოვაჭრეების განცხადებებს, რომ გადასახადი მაღალია, ჯერ ერთი, ჩვენ გარანტიები გვაქვს ორივე ბაზრის მეპატრონეებისგან, რომ შესვლიდან პირველ თვეებში ექნებათ გარკვეული შეღავათები. მეორეც, ჩვენც გვაქვს გონივრული ეჭვი იმისა, რომ იქაც, სადაც დგანან, იხდიან თანხას. ანტისანიტარიის კუთხით რა მდგომარეობაა აქ, ამას მყიდველიც ხედავს და აპოროტესტებს და გამყიდველებმაც კარგად უწყიან. ვთვლით, რომ სწორად ვაკეთებთ, რასაც ვაკეთებთ. შემდგომი ღონისძიებების განხორციელებას განვითარებული მოვლენები გვიკარნახებს."

ქონების მართვის სამსახურთან ერთად რეიდს ქალაქის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები ატარებდნენ. გამგებლის წარმომადგენელი ქალაქის მუნიციპალიტეტში თენგო ცაგურია აღნიშნავდა, რომ "მიუხედავად იმისა, გარემოვაჭრეების პრობლემები მტკივნეულია ჩვენთვის, საკითხი უნდა მოგვარდეს მისი მოგვარების გზებმა არც კანონი უნდა დაარღვიოს და მოსახლეობის მოთხოვნილებებიც უნდა გაითავისოს."

გარევაჭრობა განსაკუთრებით მისგან გამოწვეული ანტისანიტარიით აუცილებლად აღსაკვეთი რომ არის, ამაზე არავინ დავობს, მათ შორის არც თავად გარემოვაჭრეები. თუმცა, იქვე ქვეყანაში არსებულ სოციალურ ფონს მოიშველიებენ არგუმენტად და მათი მოსმენისას არ შეიძლება მედლის მეორე მხარის ერთადერთი პრობლემა, მოძრაობას რომ ზღუდავს ჭანტურიას ქუჩაზე. ურბანული განვითარება არა მარტო აქ, ქვეყანას თავი დავანებოთ და, მთელ ქალაქში ცალკე საუბრის თემაა. საქმეში ჩახედული არაერთი მოქალაქე, რომელთაც პროფესიული გამოცდილებაც აქვთ საქმის ცოდნისა, ამ ქუჩაზე კერძო სახლების წინ აგებული მაღაზიების არასწორ განლაგებასა და დაპროექტებაზეც საუბრობდა. ამტკიცებდნენ, რომ ეს ერთიორად ართულებს პრობლემას. თუ ვინმე დაინტერესდება და ჩაიხედავს, მშენებლობისათვის საჭირო ნებართვების გაცემის თვალსაზრისით არაერთ დარღვევას აღმოაჩენს.

და აქვე არა ჩასაფრებულის, არამედ, საზოგადოების ინტერესების მოდარაჯე ნაგაზის პოზიციიდან გთავაზობთ იმ კომენტარებს, გარე მოვაჭრეებისა და არა მარტო მათგან რომ ისმოდა ე. წ. რეიდის დროს ჭანტურიას ქუჩასა და ყოფილი ბაზრის უნივერმაღის მომდებარე ტერიტორიაზე. მოვაჭრეების უმრავლესობამ გვარ-სახელის დასახელებაზე უარი განაცხადა, რამდენიმემ დასძინა, ამ სიტყვებს რომ წაიკითხავენ, თავად მიცნობენ, ვინ ვარ, ვინც უნდა მიცნოსო.

კომენტარები უკომენტაhოდ:

_ ამხელა ჯარიმებს ვინ გადაიხდის, მოაწესრიგოს ბაზარმა ტერიტორია, პირობები შეგვიქმნას და შევალთ, გვიხარია წყალ-წვიმაში, ქარსა და მზეში აქ დგომა! მე სანახევროდ ჩემს პროდუქციას ვყიდი, სათბურები მაქვს და არა მგონია, ძალიან გაძვირება დამჭირდეს. შევალ ბაზარში, აბა, რა მინდა აქ. ახლა ყველა დგას და მეც ვდგავარ

_ სადაა იმ ბაზარში ადგილი. რა საღორეც იქაა, ისეთი აქაც კია. რავა, უკეთესი პირობებია იქ? სადაა ადგილი ამდენი ხალხის შესასვლელი. რად გინდა სახელი და გვარი, ისე ვერ გაიგე აზრი, რაც ვთქვი?

_ ჩვენ კი არ გვიხარია აქ ჯდომა. დასაქმებას რომ დაგვპირდნენ, დაგვასაქმონ და სამსახურებში წავალთ, მათსავით კაბინეტებში შევალთ. რავა ვერ შევიფერებთ? მე წითელ დიპლომზე დავამთავრე აგრონომიული ფაკულტეტი. ერთი დღე არ მიმუშავია, ვერ მოინახა და მოიცალა ჩემთვის სამსახურმა არც ერთი მთავრობის დროს.

_ ბაზარმა დაგვაქცია და იქედან გამოქცეულები ვზივართ აქ. ოთხი ლარი ღირს "ჩეკი". ამდენი მე აქ დღეში არ მრჩება. ხალხი არ დადის ბაზარში, კაცო, ისე დღეებში კი არა, ბაზრობის დღეს და "პრაზდნიკებზე" არ დადის. გამყიდველი ვართ მყიდველზე მეტი და რა ვივაჭრო. არ აქვს ხალხს ფული, არა!

_ შეხედეთ, ეს მაღაზიები როგორაა აშენებული. ესაა ურბანული განვითარება? ვინ გასცა ამის აგების ნებართვა, რატომ არ იჭერენ იმას?

_ ურნას ვერ ხედავ მაგერ? რამდენჯერ დაუმალავთ და ამოუღიათ მაქედან ყველი, შეგიხედავს? რატომ ვყიდულობ აქ და, აქ იყიდება! შიგნით ძვირიცაა და წონაში ყველგან გატყუებენ, შიგნითაც და გარეთაც.

_ თქვენ რა გენაღვლებათ, რომ დადიხართ აქ და ჭკუას მასწავლით, სად წავიდე. 72 წლის ქალი ვარ და არ ვიცი, სად წავიდე? რა მინდა ასე დასადგომად, მარა უჭირს ხალხს და გაიგეთ ეს, უჭირს, სული კბილით უჭირავს.

_ აქ მუშაობა ყველას უჭირს, ორგანოს მუშაკსაც, ტრანსპორტსაც. მე ავტოსადგურის თანამშრომელი ვარ. ავტობუსი ვერ შემოდის სადგურის ტერიტორიაზე. ვიცით, რა და როგორაა სწორი მარა, რა ქნას ამ ხალხმაც გაჭირვებულები რომ არიან.

_ ვერ გადავიხდი ოთხ ლარს, ბატონო. აქ არ ვიხდით არაფერს. გახადონ ორი ლარი და შევალთ დახურულ ბაზარში. არც მე ვიყიდიო იმ პირობებში, აქ რომ არის იქნებ, მყიდველი რომ ვიყო, მარა რა ვქნათ ჩვენც? გაჭირვებული კაცის საშველი არ ყოფილა და არ იქნება არასდროს.

_ აქ რომ ვდგავართ, ვშენდებით გგონიათ! პრემიებს რომ იჯიბავენ და იმხელა ხელფასებს, მაშინ არავინ მოგვისაკლისებს. რას აკეთებენ ჩემზე მეტს, ჩემსავით ხუთ საათზე დგებიან? ცივ ნიავს არ ვიკარებდი და შეხედე ჩემს ხელებს, ჰგავს ქალისას? აქ დგომას ოჯახში ყოფნა მირჩევნია დედად და დიასახლისად, მაგრამ ახლა არც ერთად ვარგვარ და არც მეორედ. რავა, მაგათ რომ ისწავლეს ისე ჩვენც ვისწავლეთ და კი ეტყობა ქვეყანას მაგათი გადაწყვეტილ-მოგვარებული საქმეების სიკეთე.

_ გაჭირვებულ-გასაწყლებული ხალხი ქუჩაში ვყრივართ ისევ. მუხლები მტკიოდა "ოცნების" მაზდევარს. შვილი, ქმარი, მთელი ოჯახი დავზდევდით. 20 ოჯახი იყო ქუჩაში და 19 მემდურობდა, იმათ "ნაციონალები" უნდოდათ და "ოცნება" მე. სამსახურებს შეგვპირდნენ, მერე ქმარიც გამოუშვეს სამსახურიდან და მაგისტრატურდამთავრებული ორი შვილი დღესაც უმუშევარი მიზის სახლში. ახლაც "ოცნებას" მეძახის მთელი ბაზარი ზედმეტსახელად. შეჭმული ვარ ხალხისგან, ასე და ისე რომ იძახდიო. დაწერე ასე და თვითონ მიხვდებიან ჩემს სახელს.

_ ამის მეტი დასაწერი და გადასაღები ვერაფერი ნახეთ? გაჭირვებული ხალხი არ გეცოდებათ? 75 წლის ქალი გაჭირვებული რომ ვდგავარ აგერ, ცოდვა არ ვარ? არ მოაწიეთ ჩემს ხნობამდე! გააშუქე ახლა აგი, ხომ მიიღე! სახლი რომ დამენგრა თავზე დახმარებისთვის მივედი და უარით გამომიშვა შენმა გამგეობამ. პენსიაზე 10 ლარის დამატება დაენანათ და თვითონ რასაც იღებენ, იმდენი ფული თუ იბეჭდებოდა, საერთოდ არ მეგონა.

_ არავინ არ მისცემს ხმას მაგენს არჩევნებზე. მოიცა, მოვლენ კიდევ ჩვენამდე. დღეს არაფერი მაქვს ნავაჭრი. 220 წარმოება იყო სამტრედიაში. ერთი გახსნან და მერე ილაპარაკონ. ამ მთავრობის საქმე წასულია!

_ მივაკეტავ და ის იქნება. აბა, უსაშველოა გაჩენილი და... ბაზარში ვიჯავი და გამოვედი გარეთ. ორი ანთება გადავიტანე აქ, სესხი გამოვიტანე მერე ბანკიდან და იმით ვიმკურნალე. ხუთი ლარი მაქვს დღეს სულ ნავაჭრი და ამასაც რომ წაიღებენ, რა მივიტანო სახლში? აქ ვერ ხედავს ხალხი და შიგნით შემოვა და შეხედავს?

_ რომ მეუბნებიან ეს ბატონები, ჩვენ წამოგყვებით, თავდებში დაგიდგებით, გარანტიებს გაძლევთ, არ გამოვა ასე ბატონო! ერთი და ორი თვის შეღავათი ჩვენ არ გვაწყობს. ძვირია "ჩეკი" დახურულ ბაზარში! ახლა კი ვიხდით იმდენს, რისი გადახდაც შეგვიძლია. ამ ხნის კაცი ვარ, 70-ს გადავცილდი. ჩემი ცხოვრება საწარმოში ვმუშაობდი და არც თანამდებობა მაკლდა. მთელ დასავლეთ საქართველოს წამლებით ვამარაგებდი. ფხაკაძე ვარ ფარცხანაყანევიდან. აქ რომ მშიერი ვიდგები ამ ასაკში, ის ქვეყანა ქვეყანაა? ჯერ ზევით მოვითხოვოთ, ზედა ეშელონებში და მერე დაბლა, ჩვენისთანა უბრალო და საცოდავ ხალხთან. აქ რომ დავდექი სავაჭროდ, დაჯარიმებული ვარ მას შემდეგ!

_ წავალ თურქეთში, მოუკვდა პატრონი!

_ სახელმწიფო იმისია, რომ იზრუნოს ხალხზე. ახლა მარტო უბრალო ხალხი ზრუნავს სახელმწიფოზე, კაბინეტებში მოკალათებულები საკუთარ თავზე ზრუნავენ. ასე იყო და ასე არის, არ იქნება სხვანაირად არასდროს.

რას ნიშნავს საქართველოსთვის 1989 წლის 9 აპრილი

თეა ბაბუნაშვილი

27 წლის წინ ... "გაგვილახეს გზაფხული" და ცრემლიანი გახდა ლურჯი აპრილი. ტიროდა ქუჩა, ქალაქი, ქვეყანა. საქართველოდან უნდა დაწყებულიყო დაუმორჩილებელი ბრძოლა ბოროტების იმპერიის რღვევისა და დაიწყო კიდეც. ქართული სისხლი ყოველთვის იქ იღვრება, სადაც გმირობაა საჭირო!

ოცდამეშვიდედ გათენდა აპრილი მას შემდეგ, რაც 9-ში, გამთენიისას, ცხრა ლახვარი დასცეს გულში მამულის თავისუფლებისთვის ბრძოლით გულანთებულ გოგო-ბიჭებს. მათ საფლავებს დღესაც არ აკლდებათ ტიტები, სანთლების ცრემლი და სიამაყის განცდა _ აი, რას ნიშნავს, იყო ქართველი! დღესაც გლოვობს საქართველო კიდით კიდემდე, გლოვობს დაკარგული ზღვითა და მიწით, სამშობლოს ანგარებიან-უანგარო სიყვარულით, არეულ-დალაგებული პოლიტიკური ქრონიკებით, მაგრამ მაინც გულწრფელად, რადგან ყველა ოჯახი, ნებისმიერი ადამიანი გახლდათ მაშინ ქართული ტრაგედიის ჭირისუფალი.

მას მერე სწრაფად ჩამოფურცლა წლები დროის კალენდარმა. ადამიანებისთვის, თაობებისთვის იმ მოვლენების თანაზიარი რომ გახლდნენ, დღესაც ლოზუნგია "გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!" პათეტიკა არ უნელდებათ 27 წლის შემდეგაც იმ ჯოჯოხეთურად ბნელი ღამის მომსწრეთ, თვითმხილველთ. ახლა მთავარია, ქართულ მომავალს ვასწავლოთ, რას ნიშნავს საქართველოსთვის 1989 წლის 9 აპრილი!

ისევ ტიტები მემორიალთან. სამტრედიაში, მთელი საქართველოს დარად, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყვავილებით შეამკეს ადგილი, სადაც შინმოუსვლელს დასტირის დედა, სადაც ქვეყნის თვისუფლებისა და ერთიანობისათვის მებრძოლ თანაქალაქელთა გვარ-სახელებია ამოტვიფრული და სადაც 9 აპრილელების ხსოვნა ქვაში აამეტყველა ქალაქმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ეპიცენტრად რომ ითვლებოდა.

თქვეს ლამაზად, თქვეს გულწრფელად, იქ მისულს სათქმელი ყველას ჰქონდა. "იმ მოვლენების თანამონაწილე თავადაც ვიყავი. 8 აპრილს აქციაზე გახლდით. 9 აპრილის ღამის შემდეგ, კომენდანტის საათის პირობებშიც კი, აქციები იმართებოდა. თითქმის ყველა მათგანში ვმონაწილეობდი. დიახ, სამარადისო უნდა იყოს ყველა თაობის ქართველისთვის იმ ადამიანების ხსოვნა, გმირობის გასაოცარი მაგალითი კიდევ ერთხელ რომ აჩვენეს მტერს სამშობლოს თავისუფლების დასაცავად." _ ამბობდა მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია. "ეს ის ტკივილია, ის ჭრილობაა, არასდროს რომ არ მოშუშდება. მომავალმა თაობებმა უნდა დაინახონ, როგორ სცემს ჩვენი თაობა პატივს მათ ხსოვნას. ვისურვოთ, არ დასჭირდეს ქვეყანას, კიდევ ვინმე შეემატოს იმ დიდ არმიას, სამშობლოს კეთილდღეობისთვის რომ დაიღუპნენ." _ აღნიშნავდა გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი. "27 წელი გავიდა იმ 9 აპრილიდან. მე მონაწილე გახლავართ მსვლელობების, 9 აპრილის შემდეგ რომ იმართებოდა საქართველოში. მჯერა, რომ მართლა არ უწერია ამ გმირების სახელებს დავიწყება!" _ კულტურის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე 27 წლის წინანდელ მოვლენებს იხსენებდა.

გმირული სულისკვეთება ნამდვილად იყო იმ დღის ლაიტმოტივი. თუმცა.... თუმცა იყო ისიც, რაც არ უნდა ყოფილიყო! ისევე როგორც გასულ წელს, ოპოზიცია ამჯერადაც ცალკე მივიდა მემორიალთან. ქართველებს ერთი ენა არ გქონდეთო, მწარედ დავუწყევლივართ ქვეყნის დაუძინებელ მტერს თავის დროზე! და ისიც, რომ გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო იმ ადამიანების რაოდენობა, ეროვნული ღირსების გრძნობით, თითო სანთლით რომ გაუნათებდნენ ცათა სასუფეველს სამშობლოს თავისუფლებისთვის დაღუპულთ.

„მოდგა ვჭრიდი და ცოდვებზე გვიანრ"

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას, შეიძლება ითქვას, ისეთივე ბედი ერგო, როგორიც ქართულ ეროვნულ მოძრაობას. გასული საუკუნის 90-იან წლებში სამტრედიაში აგიზგიზებულ ეროვნულ იდეებს ამ ბიბლიოთეკის სახით უერთგულესი დასაყრდენი ჰქონდა. აქაურობას "ზვიადისტების ბუდედ" ნათლავდნენ, კრიტიკასა და საყვედურების ნიაღვარს არაერთხელ გადაუვლია ბიბლიოთეკის თანამშრომლების თავზე, მაგრამ შეძლეს, ეროვნული მოძრაობისთვისაც ეერთგულათ და თავიანთი მკითხველებისთვისაც. სწორედ ეს ამბები გაიხსენა თავის გამოსვლაში დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელმა ჯონი ნადირაძემ, როგორც ერთ-ერთმა აქტიურმა სახემ ეროვნული მოძრაობისა.

ღონისძიება, რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავს მიეძღვნა, ბიბლიოთეკის იმ საუკეთესო ღონისძიებათა რიცხვს მიემატება, არაერეთხელ რომ გამართულა ამ მცირე, მაგრამ სამტრედიელთათვის საყვარელ დარბაზში. მთავარი მომხსენებელი ამჯერადაც ჩვენი გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა იყო. ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა დუნდუამ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა და სიტყვა მომხსენებელს გადასცა. ღონისძიება ეროვნული ჰიმნით გაიხსნა და დაიხურა.

ლევან გაბეჩავა: "1918 წელი. 26 მაისი, ქ. თბილისი, ყოფილი მეფისნაცვლის სასახლე (დღევანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე). ნაშუადღევს აქედან ინტელიგენციისა და პოლიტიკური აქტივისტების მიერ მსოფლიოს ემცნო, რომ კიდევ ერთი ახალი სახელმწიფო გაჩნდა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე _ დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო. ეს იყო ქართველი ერის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ისტორიული მიღწევა. ერთ-ერთმა პირველმა საბჭოთა რუსეთმა აღიარა საქართველო, როგორც თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფო. მოგეხსენებათ, 3 წელი იარსება საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, მაგრამ ეს 3 წელი ძალიან ნაყოფიერი აღმოჩნდა: მოიჭრა ეროვნული ფულის ერთეული, შემუშავდა ქვეყნის კონსტიტუცია, პარლამენტის იმჟამინდელმა სახელოვნებო კომისიამ დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, შეიქმნა ეროვნული ჯარი, საქართველოს ხელისუფლება დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას იწყებდა, საბჭოთა რუსეთმა რომ საქართველოს ანექსია მოახდინა. ახლად დაარსებული უნივერსიტეტის მესვეურებმა და მათ შორის, ივანე ჯავახიშვილმა სტუდენტ ახალგაზრდებს მოუწოდა, დროებით სწავლა შეეჩერებინათ, "შერხები ბარიკადებად გამოეყენებინათ" ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანით მნიშვნელობით და უნივერსიტეტის მთელი შემადგენლობა ომში წავიდა. თავგამეტებით იბრძოდნენ სამხედრო სასწავლებლის კურსანტები, მათთან იყო მოწყალების და, ქართველი ახალგაზრდა გოგონა მარიამ მაყაშვილი, რომელიც გმირის სიკვდილით დაეცა"...

მომხსენებელმა ვრცლად მიმოიხილა 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი ღამე, როცა საბჭოთა რუსეთის კბილებამდე შეიარაღებული ჯარის ნაწილებმა მოშიმშილეთა წინაშე ბარ-ნიჩბებით და ტანკებით შეიარაღებულებმა გაილაშქრეს. ისაუბრა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას როლზე ეროვნულ მოძრაობაში, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის მნიშვნელობაზე, სადაც ქართველმა ხალხმა ერთხმად გამოხატა დამოუკიდებლობის აღდგენის უპირობო ნება და უკვე პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ სიმბოლურად ამ დღეს, 9 აპრილს, ტრაგედიიდან 2 წლის შემდეგ, დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

შთამბეჭდავად წაიკითხეს პატრიოტული ლექსები მოსწავლეებმა, რომლებიც საბიბლიოთეკო ღონისძიებათა მთავარ ძალას წარმოადგენენ. "რა ღირს ბატონებო საქართველო?" _ პოეტის სიტყვებს ემოციურად იმეორებდა ქეთევან აბრამიშვილი. "ყველაზე ხნიერო დედაო თინათინ, შენ უნდა წარუძღვე ბავშვებს" _ საოცარი ემოციით დამუხტა დარბაზი თიკო მიქელაძემ ვასილ გვეტაძის ამ ლექსით. ლიზი გაბუნიამ, მერაბ კოსტავას ხსოვნას უძღვნა "დალეწილი თავისუფლება". ნინი აბრამიამ ლექსი "დაიხსომე" შესანიშნავად წარმოსთქვა. ელენე ჩუბინეიძემ უკვდავი "შენ სიხლო ჩემო" აახმიანა, შოთიკო კანდელაკმა კი ლადო ასათიანის "საქართველოში იბადებოდნენ". ჯანსუღ ჩარკვიანის უკვდავი სიტყვები "თავისუფლება ლომთა ხვედრია" ბესო კახიანმა ვაჟკაცური ტემბრით შეახსენა შეკრებილთ და... უკვდავი "დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს" _ მარიამ აბრამიშვილი ამ ლექსითაც გამოეხმაურა ისტორიულ თარიღს.

იმ სისხლიანი კვირის ექოდ გადმოღვრილი ლექსები მორის ფოცხიშვილის "ანათემა" და ნოდარ ჯალაღონიას "შენ საქართველოს იმედად და ვარდად გაშლილო" _ საზოგადოების წინაშე ჟურნალისტმა ნათია ნაცვლიშვილმა წაიკითხა. პატრიოტული მუხტი დარბაზს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორულ ანსამბლ "ალილოს"(ხელმძღვანელი მადონა კოხრეიძე) პატარა მომღერლებმა და ეწრის საჯარო სკოლელმა სოსო ვეზდენმაც შესძინეს. "მე შენ მიყვარხარ საქართველო" _ ამ ლექსით მსახიობი და ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მზია ჩიხლაძე წარსდგა მსმენელის წინაშე. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალგაზრდული პარლამენტის წევრი ვახტანგ ნიკოლეიშვილი თავისი ნაშრომით "ჩემი სამშობლო" გამოეხმაურა ამ ისტორიულ თარიღს.

ჯონი ნადირაძე: "ყველას გილოცავთ ამ თარიღს. 9 აპრილი უმეტეს შემთხვევაში ცნობარებსა და კალენდრებში მითითებულია, როგორც ეროვნული ერთიანობისა და დაღუპულთა ხსოვნის დღე. ზოგან კი, დამოუკიდებლობის აღდგენის დღედაც მიიჩნევენ, გარკვევით მიუთითებენ დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ 26 მაისს. სხვადასხვა მოვლენათა გამო, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში განვითარდა, 9 აპრილი, როგორც დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, გარკვეულწილად მიჩქმალული იყო. ვფიქრობ, დგება დრო, რომ ვთქვათ ისიც, რომ 1989 წლის 9 აპრილი იყო ჯვარცმა." როგორც ქრისტეს ჯვარცმაზე ვამბობთ ეს იყო "სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა, ეს დღეც იყო ჯვარცმა, მაგრამ ამავე დროს იყო აღდგომა, გამარჯვება ქართველი ერისა. ვერ მივიღებ იმ ხალხის მტკიცებას, ვინც ამბობს, არ ვიზეიმოთ 9 აპრილი". ჯონი ნადირაძემ შესანიშნავად გაიხსენა, თუ როგორ აღინიშნა სამტრედიაში ქალაქის ცენტრში, დედის ძეგლთან 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის მე-40 დღე, როცა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს საწარმო-დაწესებულებათა წარმომადგენლებიც შეუერთდნენ, რომლებიც შემდეგ ერთად დაიძრნენ იმჟამად სამტრედიაში მოქმედ ერთადერთ ჭაგნის ეკლესიაში. ასევე გაიხსენა, როცა ქვეყანამ 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენა იზეიმა, სამტრედიაში გამართულ მიტინგზე ეს სადღესასწაულო თარიღი ეროვნული მოძრაობის ადგილობრივმა ლიდერებმაც აღნიშნეს. პატივი, ჩვენს ქალაქში შეკრებილთათვის პირველს ეცნობებინა (პირდაპირი ეთერი იმხანად არ არსებობდა ავტ.) დამოუკიდებლობის აღდგენის ეს შთამბეჭდავი თარიღი, ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა ლიდერს, სტუდენტ ზაზა ადეიშვილს ხვდა წილად.

საკრებულოს წევრის, გოგი ლეჟავას თქმით, საბიბლიოთეკო ღონისძიებების მთავარი ღირსება ისაა, რომ არ ტოვებენ ქვეყნისთვის არც ერთ მნიშვნელოვან თარიღს და თაობათა კავშირის შესანიშნავი ნიმუშია ახალგაზრდების ჩართვა ამ ღონისძიებებში. მან მადლობა გადაუხადა ბავშვებს, რომლებმაც მთელი გულით და სულით და არა ტრაფარეტულად წაიკითხეს ლექსები.

9 აპრილის სისხლიანი დილა პირადად ახსოვს კულტურის სამსახურის ხელმძღვანელს ნატალია მანჯგალაძეს, რომელიც მაშინ სტუდენტი იყო. მან იმ დღეების ემოციაც გაიხსენა და ბიბლიოთეკის დირექტორს, ლამარა დუნდუას მადლობა გადაუხადა სულის შემძვრელი ღონისძიების მოწყობის გამო.

3500 წლოვანი ისტორიის მქონე ჩვენი ქვეყანა ევროპულ სტურქტურებში ინტეგრირებას ცდილობს, ამ ქვეყნის მომავალი თაობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი ისტორიის ცოდნას, კულტურული ფასეულობების პატივისცემას, ეროვნული იდენტობის ცნების ღრმად გაანალიზებას და გაცნობიერებას. ეს დღე კი ყოველივე ამის შესანიშნავი მაგალითი იყო.

“მოგვიკლეს აზა და ნინო, გელოდებით სამტრედიაში!”

ქეთევან ჭელიძე

სურათი, რომელსაც ახლა ვბეჭდავთ, რამდენიმე წინადადებიანი მინაწერით პირველად ფეისბუქზე, მაია აბურჯანიძის გვერდზე გამოჩნდა. იგი ისტორიული მნიშვნელობისაა, რადგან მასზე 9 აპრილის გმირები არიან გამოსახულნი. ქალბატონმა მაიამ მადლიერება გამოხატა, მეგობრებზე სასაუბროდ რედაქციაში რომ მოვიწვიეთ. იგი, 27 წლის შემდეგაც, ცრემლით ავსებული თვალებით იხსენებს მისთვის საყვარელ ორ ადამიანს _ მარტვილელ აზა ადამიას და ლიხაურელ ნინო თოიძეს.

სურათი 1989 წლის 7 აპრილს მიტინგიდან წამოსულებმა ზოოპარკის ეზოში გადაიღეს. 11-ში გამოვიტანე, აზას და ნინოს არც კი უნახავთო. _ სინანულით დასძენს ქალბატონი მაია.

“ტექნიკური უნივერსიტეტის პირველი გამოშვება ვიყავით. სამოქალაქო და სამრწველო მშენებლობის დაუსწრებელი ფაკულტეტის მე-5 კურსზე ვსწავლობდით. მე და აზა პირველი კურსიდან ერთად მოვდიოდით. ნინო მეორე კურსზე შემოგვიერთდა, მანამდე პენზაში სწავლობდა. _ გვიყვება ჩვენი რესპონდენტი. _ მას შემდეგ, რაც ლიდერები სათავეში ჩაუდგნენ ეროვნულ გამოსვლებს, მათ გვერდით ვიდექით. ლექციები თითქმის არ ტარდებოდა, გაფიცვებს, მიტინგებს მასობრივი ხასიათი ჰქონდა. აჟიტირებული, ემოციურად დამუხტულები ვიყავით, ზვიად გამსახურდიაზე, მერაბ კოსტავაზე ფანატიკურად შეყვარებულები. ვერ წარმოგვედგინა, ამ პროცესებში ვინმე ჩართული არ ყოფილიყო. მას, ალბათ, ქართველად არავინ მიიჩნევდა. ჩვენ არ გვინდოდა რუსეთთან ყოფნა, გვინდოდა დამოუკიდებლობა. ამისთვის თუ საჭირო გახდებოდა, მოგკვდებოდით კიდეც”.

მეგობრებს შორის ნინო თოიძე გამორჩეული იყო თავისი კატეგორიულობით. ის განსაკუთრებით გამოხატავდა ზიზღს დამპყრობელი ქვეყნის მიმართ, რის გამოც თავს არ ზოგავდა. წყნარ და უთქმელ აზა ადამიას სპორტის სასახლის უკან პატარა ბინა ჰქონდა ნაქირავები. იქ ყოველთვის მიუხაროდათ, თანაკურსელებს და ხშირადაც იკრიბებოდნენ. ერთად დადიოდნენ სიონის საკათედრო, ქაშუეთისა და ანჩისხატის ტაძრებში.

ქალბატონი ჟუჟუნა ხშირად ჩამოდიოდა მარტვილიდან. გახშირებულ მიტინგებზე შვილის სიარული შიშით იპყრობდა. მაია, შენ ამათზე უფროსი ხარ, გათხოვილი ქალი ხარ და აბა, შენ იცი, ყურადღება მიაქციე, ქუჩაში არ დატოვოო. _ სთხოვდა.

9 აპრილსაც ყველანი ერთად იყვნენ: მაია, აზა, ნინო, ზუგდიდელი ნინო საჯაია, გორელი ხათუნა ღვინაშვილი, სამტრედიელი ტარიელ ტორონჯაძე, აგარელი მაია მაისურაძე და სხვა თანაკურსელები. როგორც ყოველთვის, ტექნიკური უნივერსიტეტიდან მთავრობის სახლამდე გზა ფეხით გაიარეს. მთელი დღის განმავლობაში საშინელი ქარი ქროდა. ტელევიზიასთან იმდენი ადამიანი შემოეერთდათ, ხალხის ტალღამ მეგობრები ერთმანეთს დააშორა. ამაოდ ეძება მაიამ ისინი. მარტოდ დარჩენილი იძულებული გახდა, საღამოს სახლში დაბრუნებულიყო. თვითონ ერთი შვილის დედა, თბილისში დროებით ბიძასთან და ბიცოლასთან ცხოვრობდა. მთელი ღამე არ დაუძინია. ფანჯრიდან ხედავდა, რუსთავის გზაზე მიმავალ ტანკებს. სახლიდან გასვლა უნდოდა, მაგრამ ოჯახის წევრების ერიდებოდა, “ვერც წარმოვიდგენდი, თუ იქ ისეთი ცუდი რამ მოხდებოდა. ჩვენს თაობას სულ იმას გვასწავლიდნენ, რომ ჯარისკაცი ყველაზე უშიშარი და სანდო ადამიანი იყო და არა მკვლელი”. _ აღნიშნავს მაია.

ნინო თოიძე (მარჯვნივ), აზა ადამია, მაია მაისურაძე, მაია აბურჯანიძე.

მეორე დილით, როგორც კი ქალაქში ტრანსპორტმა მოძრაობა დაიწყო, აზასთან წასვლა გადაწყვიტა. მთელი ქალაქი მომხდარზე ლაპარაკობდა. სპორტის სასახლესთან შეიარაღებული ჯარისკაცები იდგნენ. მართალია, უფროსები ყოველთვის არიგებდნენ ახალგაზრდებს, სიფრთხილე გამოეჩინათ, რადგან ასეთ გამოსვლებს არავინ აპატიებდათ, მაგრამ შიში არასოდეს ჰქონია. სპორტის სასახლესთან მდგარი შეიარაღებული ჯარისკაცები რომ დაინახა და “მაშინ კი ვიგრძენი, რაღაც ბოროტ ძალას რომ შეეჯახე, თავი ფილმში მეგონა. ნაბიჯის გადადგმის შემეშინდა. მეგონა, ზურგში მესროდნენ, მაგრამ გზა მაინც გავაგრძელე”. _ გვიამბობს იგი.

აზა წუხელ არ მოსულაო, _ უთხრა დიასახლისმა. სასოწარკვეთილი მაია ნინო საჯაიას ტელეფონით დაუკავშირდა და მეგობრების ძებნას ერთად შეუდგნენ. ბოძებზე სიები იყო გაკრული. დაჭრილთა და გარდაცვლილთა შორის მათი სახელები და გვარები არ ფიქსირდებოდა. მთავრობის სახლის წინ ხალხს შეერივნენ. მოთქმა, ცრემლი და სისხლი ერთმანეთში არეულიყო. ვერც იქ იპოვეს გოგონები და გადაწყვიტეს, ნინო თოიძისთვის სახლში

მაია აბურჯანიძე

მიეკითხათ. ნინო წაიყვანესო, _ უთხრეს.

_ კიდევ კარგი, ნეტავ, სადაა ახლა? _ დაინტერესებულა მაია.

_ ნინო, შვილო, არ იცით, დაიღუპა და წაიყვანესო. კარგა ხანს გონება ვერ მოიკრიბეს. ბოლოს, აზა ვიპოვოთ, ის ხომ მაინც იქნება ცოცხალიო, _ უთხრა ნინო საჯაიას და მისი ძებნა საავადმყოფოებში დაიწყეს. რომ ვერ მიაგნეს, მორგს მიაკითხეს. რამდენიმე გარდაცვლილს შორის უნდა ამოეცნოთ იგი. შესვლა გაუჭირდათ, ითხოვეს, იქნებ, ტანსაცმელი ეჩვენებინათ, მაგრამ უარი უთხრეს. მაშინ ნინო შევიდა შიგ, მაგრამ ვერ შეძლო და მალევე უკან გამობრუნდა.

სხვა გზა აღარ დარჩა მაიას... “იწვა ლამაზი, თმებგაშლილი, სახეზე იარით”. _ იგონებს იგი.

აზას პატარა ბინის ფანჯარაზე მეგობრებს წერილი დაუტოვა: “მოგვიკლეს აზა და ნინო, გელოდებით სამტრედიაში!”

შინ რომ დავბრუნდი, ტელევიზორში ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი უკვე აზა ადამიას ამოცნობის შესახებ განცხადებას აკეთებდა.

9 აპრილს დაღუპულთა დაკრძალვა კიდევ ერთ მიტინგად იქცა. მთელი საქართველო შეძრწუნებული იყო. მეგობრები საპატიო ყარაულში იდგნენ, ხალხის მასამ საშუალება არ მისცათ, უკანასკნელად გამოთხოვებოდნენ მათ.

გარდაცვლილი მეგობრების სიყვარულს დღემდე ატარებს მაია აბურჯანიძე. იგონებს, როგორ ჩადიოდა ყოველ 17 ოქტომბერს, აზას დაბადების დღეზე, მის საფლავზე, როგორ დარჩა განუხორციელებელ ოცნებად საკუთარი პროექტით აეგო სახლი, როგორ გარდაიცვალა შვილის დაღუპვიდან მალე ნინო თოიძის დედა. წლების შემდეგ როგორ ნახა მაია ასათიანის გადაცემაში აზას უკვე გაზრდილი ერთერთი ძმა, მაშინ სულ პატარების მიერ სტუდენტი დისადმი გაგზავნილ წერილებს მთელი კურსი სიცილით რომ კითხულობდა.

... იყო ყვავილები, სანთლები, ტექნიკური უნივერსიტეტის მე-6 კორპუსში კედელზე უკანასკნელად გადაღებული მათი გადიდებული სურათი ეკიდა. მაია მაინც თვლის, რომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა სათანადოდ მაინც ვერ მიაგო პატივი თავის ორ გარდაცვლილ სტუდენტს.

დღემდე შეყვარებული ვარ ჩემს პრეზიდენტზე, ზვიად გამსახურდიაზე, მაგრამ ვფიქრობ, შეიძლებოდა, თავიდან აგვეცილებინა სისხლისღვრა. მაგნიტივით ვიყავით მიკრული ჩვენს ლიდერებზე. მათ რომ მოეწოდებინათ ხალხისთვის, დაშლილიყვნენ ან სხვაგან გადაენაცვლებინათ, ალბათ, ის ყველაფერი არ მოხდებოდა. წერეთელმა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში, წლების შემდეგ, აღიარა, რომ მან მოუწოდა ხალხს: “არ დაიშალოთ, სიკვდილამდე!”

“გონზე მოსვლა ვერ მოვასწარით, ისე გადავედით ახალ უბედურებაში. _ სამოქალაქო ომი, ბევრი ტკივილი... ალბათ, ყველაფერი ნაადრევად და არასწორად მოხდა, ვიღაცის ჯიბრზე ვიჩქარეთ. აღმოჩნდა, რომ ამ ყველაფრისთვის მზად არ ვყოფილვართ”. _ აზრს გვიზიარებს მაია აბურჯანიძე.

დიდი მიზნებისთვის თავგანწირვა ყოველთვის ღირსო, _ გვიდასტურებს, თუმცა გული სწყდება, რომ ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ დავაყენეთ ფეხზე.

9 აპრილი ახლაც სულს უფორიაქებს მას. ცდილობს, იმ დღეს მარტო დარჩეს თავის მოგონებებთან ერთად, მეგობრების სულის საოხად დანთებულ სანთლებთან და დაუსრულებლად უსმინოს “მთვარის სონატას”, “რომელიც ასე უყვარდა და რომელსაც ასე კარგად ასრულებდა ფორტეპიანოზე ნინო თოიძე.

მსჯელობა დემოკრატიაზე “ნაციონალური მოძრაობის” ოფისში

ნათია ნაცვლიშვილი

“დემოკრატიული მმართველობა საქართველოში” _ ამ მოხსენებით მე-10 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე გალაქტიონ ფახურიძე შეკრებილი პედაგოგებისა და სხვადასხვა სკოლების მოსწავლეთა წინაშე “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” ოფისში წარსდგა. არჩევნები ახლოვდება და “ნაციონალები” გააქტიურდნენ. “მზად ვართ, ნიჭიერ ახალგაზრდებს გვერდით დავუდგეთ. გვიმსახურეთ პოლიტიკის გარეშე!” _ მიმართა ემზარ შუბლაძემ, პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ახალგაზრდებს, თანაპარტიელებთან ერთად სულ ბოლო რიგში გადავიდა და ინტერესით დაელოდა მომხსენებლის გამოსვლას.

“უინსტონ ჩერჩილი ამბობდა: “დემოკრატიის მთავარი პლუსი ის არის, რომ უკეთესი მმართველობა ჯერ არ გამოუგონია საზოგადოებას”. _ ასე დაიწყო მომხსენებელმა.

“1918 წელს პირველად ავირჩიეთ დემოკრატიული მთავრობა, რომელიც დაამხო რუსეთმა. 1991 წელს კი ზვიად გამსახურდიამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მისი ხელისუფლებაც დაამხეს. 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველო ხდება ევროპის ნაწილი, კულტურულ კავშირებს ამყარებს აშშ-სთან, 2007 წელს საქართველოს ერთი ნაბიჯიღა აკლია ნატოს წევრობამდე, რომ 2008 წელს საქართველოს წინაამღდეგ რუსეთი ღია აგრესიაზე გადავიდა და ომი გამოგვიცხადა 200 000 ჯარისკაცი, ბომბდამშენები ტანკები... რომ არა საერთაშორისო მხარდაჭერები, საქართველო უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ამის მიუხედავად ქვეყანაში ბიუჯეტი 11-ჯერ გაიზარდა, 2011 წელს თბილისი გახდა ყველაზე უსაფრთხო დედაქალაქი ევროპაში. დემოკრატია ხალხის ნების გამოხატვას ნიშნავს და 2012 წელს ხალხის ნებით განხორციელდა ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება და “ქართულმა ოცნებამ” ხელისუფლება უმტკივნეულოდ გადაიბარა”. _ ნაწყვეტი მომხსენებლის საუბრიდან”.

გამომსვლელის მიმართ თავისი სიმპათია დარბაზში მსხდარმა უკლებლივ ყველა პოლიტიკოსმა გამოხატა. აპირებს თუ არა “ნაციონალური მოძრაობა” ახალგაზრდული ბირთვის ჩამოყალიბებას და იქნება თუ არა მისი საგარეო ხელმძღვანელი გალაქტიონ ფახურიძე, ამ კითხვებით მივმართეთ “ნაცმოძრაობის” რამდენიმე წევრს.

ემზარ შუბლაძე: “ჩვენ აქ პოლიტიკური მიზნებით ნამდვილად არ შეკრებილვართ. 31 მარტს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღეა, დედაქალაქში მოწყობილი გამოფენის პარალელურად გაგას სურდა აქ გამოხმაურებოდა დამოუკიდებლობის თემას. მან საინტერესოდ მიმოიხილა საქართველოს ისტორიული წარსული, ილაპარაკა აწმყოზე, ეს დღევანდელი მოხსენება გაგას გადაწყვეტილებაა. გულწრფელად გეუბნებით, შვილი შემიძლია დავიფიცო. მან ისაუბრა, თუ როგორ მიდიოდა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები და როგორ მიდის დღეს. რაც შეეხება გააქტიურებას, მართლაც გავაქტიურდებით”.

გივი ღაღანიძე: საზოგადოების შეგნებულ ნაწილს არ უნდა გაუკვირდეს, რომ ჩვენს პარტიას ახალგაზრდული ბირთვის ჩამოყალიბება არ სჭირდება. ჩვენი საზოგადოება ძალიან კარგად აზროვნებს, ჩვენმა ხალხმა განსაზღვრა ევროპული მომავალი, ეს არც ერთი ხელისუფლების დამსახურება არ არის. გეტყვით, ჩვენ რომ ამ აქციისთვის პომპეზური სახის მიცემა გვდომოდა, ამ შეკრებამდე, აქ 100 კაციანი პარტიული შეკრება გვქონდა, ისეთი მოტივირებული იყვნენ, სიამოვნებით დაესწრებოდნენ და დიდხანს დარჩებოდნენ. ახალგაზრდები მოვიდნენ და გვითხრეს, გვინდა შეხვედრის მოწყობაო. ჩვენ ერთი სიტყვაც კი არ გვიხსენებია “პარტიული”. იცით, ჩვენი უბედურება რა არის? ჩვენს დიდ დარბაზებში ასეთი ღონისძიებები უნდა ეწყობოდეს. დღეს ბჭობენ იმაზე, თუ რა სახელი დაერქვას ამა თუ იმ ქუჩას. ქუჩას სახელი ამა თუ იმ პიროვნების გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგ უნდა დაერქვას.”

მამუკა ბიბილეიშვილი: “უზომოდ გახარებული ვარ, ახალგაზრდები ასე რომ მსჯელობენ, ფიქრობენ და სურთ სწორად და ჯანსაღად გაანალიზონ საქართველოს ისტორია, დემოკრატიის განვითარების გზები, ეს ძალიან კარგად წარმოაჩინა გაგამ.

_ ამ ბავშვების სახით პარტიის ახალგაზრდულ გუნდს ხომ არ ვხედავთ?

_ ჩვენი პარტიის ახალგაზრდული ბირთვი გადახალისების და ჩამოყალიბების პროცესშია.

_ ხომ არ შეიძლება სწორედ გალაქტიონ ფახურიძემ ჩაიბაროს ახლო მომავალში ახალგაზრდული ლიდერის პოსტი?

_ არის ამის შესაძლებლობაც, გაგა ერთ-ერთი ლიდერია, ჩვენთან ვიღაც-ვიღაცის რეკომენდაციით და პროტეჟეობით კი არა, კონკურენციის გაწევითა და კვალიფიკაციის მიხედვით ინიშნებიან. გაგა მართლაც ღირსეული ლიდერი იქნება როგორც თავის ტოლებში, ისე უფროსებშიც კი. მადლობა გაგას ამ საინტერესო მოხსენებისთვის. როცა ასე აზროვნებენ ახალგაზრდები, ალბათ არც ვქეყანა გადაშენდება და დემოკრატიაც თავის სიტყვას იტყვის ქვეყანაში”.

კომენტარი გალაკტიონ ფახურიძესაც ვთხოვეთ:

“მინდოდა საზოგადოებისთვის მეთქვა, რა არის დემოკრატიის არსი, ხაზი გავუსვი საქართველოში დემოკრატიის აღმოცენებას, და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, ცნობილია, მეფე ერეკლედან მოყოლებული თუ რა დამოკიდებულება გვაქვს. ხაზი გავუსვი პირველი დემოკრატიული ხელისუფლების ჩამოყალიბებას საქართველოში, მერე 90-იან წლებში დამოუკიდებლობის აღდგენას ზვიად გამსახურდიას მიერ, რომელმაც უდიდესი ბიძგი მისცა ქვეყანაში დემოკრატიის მშენებლობას. გავუსვი ხაზი იმას, როგორ ცდილობს ჩვენი დამოუკიდებლობის ხელყოფას მუდამ რუსეთი, ხმლით რაც ვერ გაგვეთეს ერეკლეს დროს, შემდეგ მოგვერივნენ იმით, რომ 1995 წელს კაგებეს აგენტები: კიტოვანი და სიგუა, იოსელიანი დაგვინიშნეს. ჩემი აზრით და ალბათ, ყოველთვის, დემოკრატია მმართველობის საუკეთესო ფორმაა და მინდა იგი ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდეს. ეს ჩემი პოზიციაა, აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ ძველ ევროპულ ოჯახში”.

საჯარო ფინანსების ხარჯვის ობიექტური და სრულყოფილი მონიტორინგი განხორციელდა

ნათია ნაცვლიშვილი

2015 წლის დეკემბრიდან სამოქალაქო საზოგადოება მდგრადი განვითარებისთვის (CSSD)ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის (CSI) მიერ დაფინანსებულ პროექტს სახელწოდებით "საჯარო ფინანსების ხარჯვის მონიტორინგი სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ პერიოდში". პროექტი ხორციელდებოდა 2015 წლის 1 დეკემბრიდან 2016 წლის 31 მარტის ჩათვლით. გამგეობის სხდომათა დარბაზში ადგილობრივი ხელისუფლების და საფინანსო სამსახურის წარმომადგენლების წინაშე პროექტის პრეზენტაცია მოაწყო კახა ნადირაძემ, "სამოქალაქო საზოგადოება მდგრადი განვითარებისთვის" აღმასრულებელმა დირექტორმა და ამავე პროექტის დირექტორმა.

გამომსვლელმა პროექტზე მუშაობის მთავარი მიზანი განმარტა და აღნიშნა, რომ საზოგადოების ჩართულობა და მონიტორინგი საფინანსო-საბიუჯეტო პროცესებში ადგილობრივ დონეზე აქტიური უნდა იყოს, რადგან ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის გამჭვირვალობას და ხალხისადმი მისი ანგარიშვალდებულების ზრდას.

პრეზენტატორმა საუბრის დასაწყისში დამსწრეთ 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის (პრეზენტაცია 31 მარტს მოეწყო) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეახსენა, ამ თარიღზე ხაზგასმის შემდეგ კი, მუნიციპალიტეტის გამგებელს, ვალერიანე ფოცხვერიასა და საკრებულოს თავმჯდომარეს ნუგზარ ჯამბურიას მადლობა გადაუხადა პროექტზე მუშაობისთვის საჭირო დოკუმენტაციის დროულად მოწოდების გამო. პრეზენტატორმა ასევე აღნიშნა, რომ მის მიერ შესწავლილი სატენდერო დოკუმენტაცია იურიდიულად გამართულია. "მიმდინარე საბიუჯეტო პროცესში მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის აპარატი მუშაობდა გამართულად ასევე, როგორც საკვლევი პერიოდის, 2014-2015 წლების ბიუჯეტი, მიმდინარე წლის ბიუჯეტიც ასევე მიღებულია კანონით განსაზღვრულ ვადებში და მისი პროგრამული ნაწილი სრულიად დამაკმაყოფილებელია". _ ნათქვამია პროექტის დასკვნით ნაწილში.

რაც შეეხება რეკომენდაციებს, როგორც წერილობით, ისე ზეპირი სახით მიეწოდა იგი ხელისუფლებას.

პროექტის პრეზენტატორის ერთ-ერთი რეკომენდაცია შემდეგია: "იმისათვის, რომ მოხერხდეს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების მაქსიმალური სიზუსტით განსაზღვრა, საჭიროა შემსყიდველმა (ამ შემთხვევაში სამტრედიის მუნიციპალიტეტი) ტენდერის ჩატარებამდე, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით ჩაატაროს ბაზრის კვლევა და მიღებული შედეგების მიხედვით მოახდინოს შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა".

კახა ნადირაძეს იქვე უპასუხა მუნიციპალიტეტის შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსმა, ირაკლი სულავამ:

"როცა ჩვენ საპროექტო სამუშაოებს ვყიდულობთ, ბაზრის კვლევას როგორ ჩავატარებთ? ჩვენ ვაცხადებთ ტენდერს საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, რომელმაც უნდა გაგვიფასოს სამუშაო. აქ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს როგორც ერთმა პრეტენდენტმა, ისე რამდენიმემ. ისინი დააფიქსირებენ თავიანთ ფასს, ისინი გვიდგენენ საპროექტო დოკუმენტაციას, სადაც განსაზღვრულია ფასი, თუ რა ჯდება ესა თუ ის სამუშაო, საორიენტაციო ღირებულება ჩვენ მითითებული გვაქვს ჩვენი სამსახურის მიერ შესწავლილი დეფექტური აქტების საფუძველზე. როცა ჩვენ უკვე ნაყიდი გვაქვს დოკუმენტაცია, სადაც დაფიქსირებულია, რომ ეს სამუშაო ჯდება, ვთქვათ, 100 000 ლარი, ბაზრის კვლევა რაზე ჩავატარო? როცა სამუშაოს ყიდულობ, მანამ პროექტს ყიდულობ და ხარჯთაღრიცხვას, სადაც უკვე ფასი, დადებულია".

პროექტი შეაჯამა "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" (CSI) წარმომადგენელმა, პროექტის კოორდინატორმა, თათა ბოჭორიშვილმა:

"1995 წლიდან არსებობს ჩვენი ორგანიზაცია", ჩვენი მოღვაწეობის ერთ-ერთი მიმართულება ესაა არასამთავრობო ორგანიზაციების საარსებო გარემოს გაუმჯობესება და მათი სამოქმედო რეგულაციების დახვეწა, მეორე _ არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებების და უნარების გაუმჯობესება. ამ მიზნით შევქმენით ონლაინ კურსები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის, რომლის ერთ-ერთი წარმატებული მონაწილე ბატონი კახა იყო, ამ პროექტის ფარგლებში გვქონდა მცირე გრანტები, რომელიც გულისხმობდა იმას, რომ ამ ონლაინ კურსების გავლის შემდეგ მონაწილეებს მიღებული ცოდნის პრაქტიკული განხორციელება შეეძლოთ, ანუ შეექმნათ მცირე პროექტები, რომელიც შეიძლება შეხებოდა საჯარო ფინანსების მონიტორინგს და ა. შ. გავეცით სულ 5 გრანტი. გრანტი, რომლის პროექტის პრეზენტაცია ბატონმა კახამ მოაწყო და ეს არის ერთ-ერთი კარგად გაკეთებული პროექტი. გამომდინარე იქიდან, რომ ზოგადად საქართველოში საკმაოდ რთულია საჯარო ფინანსების კუთხით მონიტორინგის გაკეთება, ძალიან მიხარია, სულ უფრო ხშირად რომ აღვნიშნავთ, საკრებულო და თვითმმართველობა იყო ყოველთვის ღია და საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა არ ყოფილა. ვფიქრობ, ხელისუფლების და არასამთავრობოების თანამშრომლობა ძალიან კარგია, გვინდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვისაც გავაკეთოთ ონლან კურსები, რაც ითვალისწინებს ყველა იმ საკითხს, რაც თქვენს საქმიანობაში ძალიან მნიშვნელოვანია".

შეხვედრის ბოლოს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ დავით ბახტაძემ, განაცხადა:

"მისასალმებელია თქვენი ინიციატივა ბატონო კახა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქმიანობის ეს მონიტორინგი ცხადყოფს, რომ შესწავლის მიზანი იყო ობიექტურობის დაცვა, არ ჩანს ამ ბროშურაში და თქვენს პრეზენტაციაში, რომ რაიმე სახის მიკერძოებას ჰქონდა ადგილი, ან დაინტერესებას. ამ შესწავლაში უდავოდ გამოსჭვივის ობიექტურობა, მისასალმებელია ეს ინიციატივა, ასეთი მონიტორინგი საჯარო ფინანსების მართვის კუთხით ხელს შეუწყობს ისევ და ისევ მოსახლეობის ინტერესების დაცვას და თითოეული ჩვენგანისთვის, საჯარო მოხელეებისთვისაც არასამთავრობო ორგანიზაციების ასეთი მიდგომა იქნება

მისასალმებელი და გამომაფხიზლებელი. რაიმე შეცდომა და ხარვეზი თუ გვექნება, ყველა საჯარო მოხელემ უნდა იცოდეს, რომ ეს გამჭვირვალე სისტემაა და როგორც არასამთავრობო ორგანიზაციას, ისე ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტაცია და კანონით დადგენილ ვადაში მას პასუხი გავცეთ. თქვენ სწორად აღნიშნეთ, ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი პირების მზაობა არის არა მარტო თქვენი, არამედ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართ, ყველას მიმართ, ვინც ამ განხორციელებულ პროცედურებს ობიექტურად განსჯის, მათდამი ხელშეწყობის სურვილიც კი გვიჩნდება, შევეცდებით ვითანამშრომლოთ თქვენს ორგანიზაციასთან, ამ წელიწადნახევრის მანძილზე არასამთავრობო ორგანიზაციები შემოდიან, ინფორმაციას იღებენ, მაგრამ ასეთი ჩამოყალიბებული, ობიექტური და სრულყოფილი მონიტორინგი, რაც განხორციელდა ამ წელიწადნახევრის განმავლობაში საფინანსო-საბიუჯეტო, კერძოდ, შესყიდვების კუთხით, არცერთ ორგანიზაციას არ გაუკეთებია და წარმატებას გისურვებთ".

"მეჰქსი" საჯავახოელებს ნაპირს უმაგრებს

ნინო ნანიტაშვილი

საჯავახოს სკოლის სიახლოვეს, იქ, სადაც მდინარე რიონის ჭალაა, ადგილობრივი მოსახლეობა საგაზაფხულო სამუშაოებს რამდენიმე დღის განმავლობაში აწარმოებდა. ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა, საჯავახოელები კი მზიან ამინდს ესწრაფვიან და თბილისის სანერგე მეურნეობიდან ჩამოტანილ ნეკერჩხლის, აკაციის და ტირიფის ნერგებს წინასწარ დამზადებულ მიწაში სათუთად აწყობენ. მდინარე რიონის სანაპირო ზოლში ქარსაცავის სამუშაოები შარშან დაიწყო, პირველი ეტაპი დასრულებულია და ამჯერად მეორე ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს. "მდინარე დღეს რომ იქით არის, გავა დრო და აქეთ მოედინება, _ მიხსნის ხელებდაკაპიწებული ახალგაზრდა კაცი, კობა შანიძე და იქვე ამატებს: ამ ტერიტორიაზე ვარ გაზრდილი. კარგად ვიცნობ რიონის ზნე-ჩვეულებას. მდინარის შუაში კუნძულს ხომ ხედავთ? ეს რიონის "ნახელავია". იმ კუნძულსა და ამ ნაპირს შორის ჩვეულებრივი მიწის ნაკვეთი იყო მრავალწლიანი ხე-ნარგავებით, მდინარემ ნიადაგი გამოაცალა და ფოთისკენ წაიღო".

მეზობლის გვერდით მომუშავე ირაკლი შანიძე დიალოგში ჩაგვერთო. ვიდრე მთავარ სათქმელზე გადავიდოდა, ხელით მიგვანიშნა ეზო-კარმიდამოზე, რომლის გავლითაც ჟურნალისტები მდინარე რიონის ნაპირზე აღმოვჩნდით, იქ, სადაც საჯავახოელებს დარგვის პროცესი გაეჩაღებინათ: "ეს სახლი და ეზო ჩემია. მეც ამ ტერიტორიაზე გავიზარდე. კარგად მახსოვს განაშენიანებული მიწა, რომლის ადგილზე დღეს მდინარე რიონი მოედინება. ბავშვობაში, მთელ ზაფხულს აქ ვატარებდი, როცა პაპანაქება სიცხე იდგა, წყალი ყინულივით ცივი იყო და ტუჩებგალურჯებული ამოვდიოდით მდინარიდან. დღეს პროცესი რომ არ შეჩერდეს, თავზეხელაღებული რიონი ცოტა ხანში ჩვენს საკარმიდამო ფართობამდე მოაღწევს და შეიძლება, დაუპატიჟებლად სახლშიც "გვეწვიოს". გვიხარია, რომ გამოჩნდნენ უცხო ადამიანები, რომლებიც პრობლემის მოგვარებაში საჯავახოელებს მხარში ამოგვიდგნენ".

პროექტის ირგვლივ, რომლის ფარგლებშიც საჯავახოსა და იანეთში ქარსაცავი ზოლის მოწყობა მიმდინარეობს, "სამტრედიის მაცნეს" მკითხველს უკვე მერამდენედ ვუამბე. მდინარე რიონის გასწვრივ გასამაგრებლად და ქარსაცავი ზოლის მოსაწყობად გარემოს განვითარების პროგრამა მე-4 წელია, ხორციელდება. დაწყებულია და კვლავ გრძელდება ფლეთილი ქვებით ნაპირის გამაგრება.

ეროზიისაგან და გარეცხვისაგან ნიადაგების გასამაგრებლად იანეთის შემდეგ ინტენსიური გრძელვადიან პერსპექტივაში აგროსატყეო ნაპირდაცვითი სამუშაოები სოფელ საჯავახოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს. პროექტის მიზანი იყო სამუშაო პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა, ანუ საჯავახოელებს პროექტის წყალობით გარკვეული მხარდაჭერა ჰქონოდათ ეკონომიკური თვალსაზრისითაც. გარემოს განვითარების პროგრამამ 11 ადგილობრივი მკვიდრი დაასაქმა.

საჯავახოს ტერიტორიაზე მდინარე რიონის აუზის გასწვრივ სანაპირო ზოლში ორი ნაკვეთია შემორაგვული. 2000-მდე კვადრატულ მეტრზე 800-მდე ძირი მრავალწლიანი ხე-ნარგავი ადგილობრივი მოსახლეობის ხელით დაირგო. საჯავახოელებმა იციან, თუ რა დონის სამუშაოები ჩატარდა და რისგან იხსნა გარემოს განვითარების პროგრამამ ადგილობრივი მოსახლეობა. თანასოფლელთა სახელით ირაკლი შანიძემ "სამტრედიის მაცნეს" უთხრა, რომ "რიონის ნაპირის გამაგრება რომ არ დაწყებულიყო, ამ ტერიტორიაზე ვერც საქონელს გავატარებდით, ვერც ტრანსპორტს და აქ აღარ ეღირებოდა ჩვენი ცხოვრება".

საჯავახოელების გვერდით განაშენიანების პროცესში აქტიურად არის ჩართული შპს "მერქსი", რომელმაც გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა (დირექტორი გია გაბიძაშვილი). აღნიშნული სამშენებელო ორგანიზაცია 4 წელია ფუნქციონირებს და მსგავსი ტიპის სამუშაოები დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში აქვს შესრულებული.

რეპლიკა

მართალია, საუკუნოვანი ხის თემა ამ დღეებში ერთობ პოპულარული იყო, თუმცა, ამჯერად არა იმ ცნობილ ხეზე, არამედ ჩვენს ქალაქში დედის ძეგლის მიმდებარედ მდგარი ერთი ნაძვის ბედსა თუ უბედობაზე მოგახსენებთ.

იდგა და დგას (ჯერჯერობით) ნაძვი ტანაშოლტილი და ზაფხულის ხვატში ტოტებგაშლილი იწვევს ჩრდილში დასიცხულთ.

ზამთარში კი, ზამთარშიც ლამაზი სანახავია დათოვლილი ხე.

მიუხედავად ნაძვის სილამაზისა და სარგებელისა, ეტყობა მისმა "არსებობამ" მავანი გააღიზიანა და განაჩენიც გამოუტანეს _ ძირში სამშენებლო მასალის ნარჩენები: ბათქაში, ქვიშა, ხრეში... დაუხვავებიათ, ხეს "ამოსუნთქვის" საშუალება რომ არ ჰქონდეს და...

არაა გამორიცხული, ხე ისევ მავანთა ბიზნესგეგმის განხორციელებას უშლიდეს ხელს და ვინმესთვის არახელსაყრელ ადგილზე იდგეს.

ასე თუ ისე, დროა მწვანე ნარგავების ბედზე პასუხისმგებლობა თითოეულმა ჩვენგანმა ავიღოთ.

ლევან გაბაჩავა

14 ივნისი ქართული ენის დღეა!

ჩვენი ენა ქართული

ლევან გაბეჩავა

14 აპრილს ქართული ენის დღე აღინიშნება.

დედა ენას ქართველმა კაცმა ძეგლი აუგო და ამით უპრეცედენტო რამ მოახდინა მსოფლიოში. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც ქართველი ინტელიგენციის ძალისხმევით ქართულმა ენამ საბჭოთა საქართველოში სახელმწიფო ენის სტატუსი შეინარჩუნა.

1978 წელი იყო მაშინ.

ენაზე, მის სიწმინდეზე ზრუნვა იყო, არის და იქნება საზოგადოების ზრუნვის უმთავრესი საგანი.

თუ როგორ უფრთხილდებოდნენ ენის სიწმინდეს ქართველი ერისკაცები, ამის ნათელსაყოფად მოგვყავს ამონარიდი ექვთიმე თაყაიშვილის იმ სიტყვიდან, რომელიც საქართველოს პარლამენტის 1918 წლის 6 ოქტომბრის სხდომაზე წარმოთქვა მან და საოცრად აქტუალურია დღესაც.

"ძნელად თუ ვისმეს უყვარს უცხო სიტყვათა ხმარება ისე, როგორც ქართველებს, ძნელად თუ მოიპოვება ერი, რომელსაც ისე უყვარდეს უცხო ენა, როგორც ჩვენ გვიყვარს.

ეს სენი ისტორიულია, თუმცა, ეხლა იგი უფრო გვემჩნევა.

ამ ერთ საუკუნეში ქართული ლექსიკონი ძალზედ შეიცვალა.

ისტორიკოსი უწინაც შენიშნავდა, რომ ქართული ენა უცხოთ მორთული არისო, ესე იგი უცხო სიტყვებით შერთული, მაგრამ დღევანდელ ისტორიკოს ამისი თქმა მეტის უფლებით შეუძლია.

მას შემდეგ, რაც ქართველი მეფეები სპარსეთში აღიზარდნენ, განსაკუთრებით როსტომ მეფე, მრავალი სახელი სპარსულით შეიცვალა.

რომ არ შეგვრჩენოდა "კარის გარიგება" მრავალი ქართული სახელი ჩვენთვის სრულებით დაკარგული იქნებოდა.

ეხლა, როდესაც საქართველოში ევროპული კულტურა შემოვიდა, ჩვენი ლექსიკონის არევას, რასაკვირველია, უფრო აქვს ადგილი.

თუ საქართველოს სახელმწიფო გსურთ აღადგინოთ და განამტკიცოთ, თავი უნდა დაანებოთ უცხო სიტყვების სესხებას".

გაზეთი "საქართველო" 1918 წელი ღვინობისთვის 6. № 187.

მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს 1918 წლის ღვინობისთვის პირველში, იმავე გაზეთ "საქართველოში" გამოქვეყნებული დოკუმენტის გაცნობა:

დებულება საქართველოს სახელმწიფო ენისა 27 ენკენისთვის სხდომაზედ მიღებული.

1. საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა.

2. საქართველოს ეროვნულ საბჭოში ყოველნაირი საქმის წარმოება და კამათი ხდება ქართულ ენაზედ.

3. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელს შეუძლია სიტყვა წარმოსთქვას დედა ენაზედ, უკეთუ, მან სახელმწიფო ენა არ იცის.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ვითარებაა სადღეისოდ ქართულ მართლწერასა თუ ზეპირსიტყვიერებაში, მაშინ, როცა ერისკაცები საუკუნის წინათ, კიდევ უფრო ადრე სწუხდნენ და ძალისხმევას არ იშურებდნენ, კანონის სახეს აძლევდნენ ენის სტატუსის განსაზღვრას.

დაბოლოს, მშობლიურ ენაზე ზრუნვა, მოვლა-პატრონობა და გაფრთხილება თითოეულის უპირველესი მოვალეობაა.

"ქართული ენისა და ანბანის კიდევ ერთი ძეგლი"

ნათია ნაცვლიშვილი

"ჩემს ხელნაწერს ვათვალიერებ. გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარიღოდ წარმოშობილ ფანტასტიურ ჰიეროგლიფებს. შევსცქერი ქართულ ასოებს და ასე მგონია: მე მათ შორის უნდა ამოვიკითხო-მეთქი ჩემი გმირების უცნაური ბედი...

...აჰა, მოდიან ღეროვანი ასოების ლეგიონები. ისინი ხან ლელიავით იკეცებიან, ხანაც ცხენოსანი ჯარის ჰიკეტებსავით მოემართებიან ამპარტავნად ზეაღმართულნი". _ ეს ნაწყვეტია კონსტანტინე გამსახურდიას "ლირიული ინტერმეცცო"-დან, მწერლის მიერ ახალი ქართული ანბანის მიმართ აღვლენილი ეს ქებათაქება გამახსენდა, შესანიშნავი ფილოლოგის, ნინო ტონიას ოჯახში სტუმრობისას.

მოსწავლეებმა ფილოლოგს ჭერი მოუხატეს, დაბადების დღეზე ფუნჯითა და კიბით ეწვივნენ და... მხედრული და ასომთავრული ასოები ჭერზე გამწკრივდნენ... აქ შემოსული ადამიანი უკვე სხვა სამყაროში ხვდები, ენის სიყვარულით მძაფრად დამუხტულ სამყაროში. განსაკუთრებულად ფასეულია ახალგაზრდების ეს ინიციატივა. ერთის მხრივ, ამ ჟესტით მათ საყვარელი პედაგოგი გაახარეს, მეორეს მხრივ, თავადვე გამოხატეს პატივისცემა ენის, როგორც "სამი ღვთაებრივი საუნჯიდან" ერთ-ერთის მიმართ. აქვე ჩნდება იმედიც იმისა, რომ ენისადმი პატივისცემა მათთვის არ არის ერთჯერადი აქტი და რომ ის დროში უნდა გაგრძელდეს.

14 აპრილი ქართული ენის დღეა, ამ თარიღთან დაკავშირებით არაერთ წარმატებულ ადამიანთან, კარგ მოქართულესთან, კარგ ფილოლოგთან ჩაგვიწერია ინტერვიუ, ამჯერად ქალბატონ ნინოსთან ჩვენი მისვლის მიზანს მასპინძლის შეკითხვებით გადაღლა არ წარმოადგენდა, რამდენიმე შეკითხვითღა შემოვიფარგლეთ. ასევე ვთხოვეთ, შეეფასებინა მოსწავლეების შემოქმედება.

ნინო ტონია: "ეს არის ქართული ენის და ანბანის კიდევ ერთი ძეგლი და საგალობელ-სადიდებელი, კულტურული აქტი და კეთილი ნების გამოხატულება, ახალი თაობისაგან გამოვლენილი, ჩვენდა საიმედოდ, ჩვენდა სანუგეშოდ, ქართული ენის და ჩვენი ენის სადღეგრძელოდ, სამარადჟამოდ საარსებოოდ და სასუფევლად!

ანა პაპავამ, ქრისტინე თავაძემ, ნინო ტორონჯაძემ თვითონვე გადაწყვიტეს ჭერის მოხატვა. ჯერ ხუმრობა მეგონა, მეგონა მხოლოდ მათი კეთილი წარმოსახვა... დაბადების დღეზე მეწვივნენ კიბით, ფუნჯებით და აღასრულეს ნათქვამი. როგორც ჩანს, ბევრი ზრუნვა, სუნთქვა, შრომა და ცდა ქებული შეალიეს ამ საქმის სრულყოფას.

დღესასწაულად იქცა ამ შექმნის პროცედურა, მოხატვა იყო დღესასწაული, ეს არ იყო მხოლოდ სამუშაო, ეს იყო ზეიმი, იგი გრძელდებოდა კვირეების, თვეების მანძილზე. თვითონ ხუმრობდნენ, რომ ეს იყო დოჩანაშვილისეული კარცერ ლუქსის" ჩვენს ოთახში გადმოტანის მცდელობა, მე კი ვამბობ, თუ სადმე ეძებენ ფიროსმანის მოხატულ დუქნებს, ამათი მოქარგული ჭერებიც დაიძებნება როდესმე. ესაა მართლაც ზოგადად კულტურული მოვლენა: "ამაღლდი ჭერო, იხარე ერო"... ჩემთვის ეს არის ირისესავით გადარკალული შვიდფეროვანი სარტყელი ცისა, მახარობელად ტკბილ იმედისა. კიბეზე "სამაიასავით" ადი-ჩამოდიოდნენ, გეგონებოდნენ, ამ აწვდილი ხელებით ღმერთს შეჰღაღადებდნენ, თითის მწვერვალებიც აღიბეჭდა ამ ჭერზე და თითქოს ასომთავრულით, როგორც მთიებით, ისე მოიჭედა ზეცის თავანი".

ჩვენს კითხვაზე, რატომ გაღარიბდა ენა, რატომ ბინძურდება იგი დღეს განსაკუთრებულად, ფილოლოგი გვპასუხობს: "უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ იმ კულტურული ერის შვილები, რომელმაც შექმნა უნივერსალური ანბანი, ეს ყველაფერზე მეტყველებს. მსოფლიოს 14 ანბანს შორის ქართული ანბანი უნივერსალურია. არ ვართ დიდი ერი, 12 მილიონი რომ ვიყოთ, სჯობს, მაგრამ... ამბობენ იმასაც, მსოფლიოშია განფენილი ქართველობა და კი ვიქნებით ამდენიო. სიტყვა ღატაკდება, როცა სულიერი და კულტურული კრიზისია, ეს პირველ რიგში, ეტყობა მეტყველებას, როგორ არჩევანს აკეთებს ერი, რა ღირებულებების ტელეგადაცემებს ამჯობინებს, რას უსმენს, რას უყურებს? რაზე ფიქრობს? როგორ აზროვნებს? რას იმახსოვრებს, რაზე ტირის და რაზე იცინის? მგონია, ეს ძალიან სერიოზული საკითხია, რაზეც უნდა ტიროდეს, იმაზე იცინის და რაზეც უნდა იცინოდეს, იმაზე ტირის. აუდიტორიის ტესტირების საშუალება ხშირად მაქვს და ხშირად მაშფოთებს ეს ამბავი".

სად არის ხსნა? ამ კითხვაზე ქალბატონი ნინო გვპასუხობს: "ხსნა ყველგან არის, ადამიანის კეთილი ნება არის გზა ხსნისა, ეს მოგვეწოდა ჩვენ თავისუფლებასთან ერთად. ვიცით, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უკვე ავტორიტეტია ზვიად გამსახურდია, მისი იდეალი იყო სწორედ ენის ამაღლება და არა პროფანაცია, ამის წამალი და მალამო (მუფარახი) არის ძველი ქართული ტექსტების კითხვა და სანამ ჩვენ გვჯერა, რომ შეგვიძლია ძველი ქართულის გაგება და ვკითხულობთ ძველ ქართულ ტექსტებს, ჩვენს ინტელექტს საფრთხე არ ემუქრება, ვიღაცამ ხომ შეძლო და "გვითარგმნა?" არ მინახავს ბავშვი და აუდიტორია, "შუშანიკის წამება" და "აბოს წამება" რომ ვერ გაეგო..."

დაბოლოს, ენაზე საუბრისას არ შეიძლება არ გაგახსენდეს ადამიანს საპარლამენტო ტრიბუნიდან გადმოფრქვეული მარგალიტები. ამ მოწვევის პარლამენტის ისტორიაში უთუოდ დარჩება სოსო ჯაჭვლიანის "თავანკარა ქართული", როცა უცხო სიტყვებით გატაცებულმა დეპუტატმა სიტყვა "იბიარდის" მნიშვნელობა ვერ შეიმეცნა. აი, რას ურჩევს მოკრძალებულად ფილოლოგი უცხო სიტყვების მოყვარულებს და მნიშვნელობის არმცოდნეებს:

"როგორც ჩანს, ამ ადამიანებს აქვთ ძალიან მაღალი ლინგვისტური მოთხოვნილება და აქვე ვასახელებ წყაროს, სად შეიძლება ნახონ განმარტება. არსებობს ბევრი სხვადასხვა ტიპის ლექსიკონი. ლექსიკონთან მუშაობა არის ესთეტიკური სიამოვნებაც. ზოგს მოსწონს უცხო სიტყვა, რას ერჩი ადამიანს, რომელსაც სურს, სიტყვის ახალ ნიუანს ჩასწვდეს? ამაში ცუდი არაფერია. ამის გამო მას ვერ გაიცხავ, ქართველი ადამიანი არისტოკრატული ბუნებისაა, თუ კულტურული მოღვაწეობაა და სიტყვის არსის ძიება კარგი რამაა, დავუსახელოთ ამ ადამიანს წყარო და არა მგონია, არ გადმოდგას შემხვედრი ნაბიჯი და არ დაათვალიეროს მთელი ლექსიკოლოგიური არსენალი. ბევრ ადამიანს უყვარს უცხო სიტყვა, სიტყვის სიყვარულისთვის კი ადამიანს ვერ დასჯი".

ქარიშხალი ჭიქაში, არც მასავა საქმე...

სწრაფვა ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრობისაკენ _ ევროინტეგრაციისაკენ საუკუნეთა წინათ იყო ქართველ ინტელიგენტთა ოცნება.

ასწლეულებს ითვლის ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობა და რა საკვირველია, ამ ნათელი მიზნისკენ ერი და ბერი, ხელისუფლება ერთნაირი ძალისხმევით რომ იღვწოდეს.

მთავარი და უმთავრესი კი ერთი რამაა, ქართველთათვის დამახასიათებელმა მაქსიმალისტობამ არ შეგვიპყროს, არ დაგვიმონოს და ქართველთათვის მიუღებელი, მავანთათვის ჩვეულებრივ ამბად აღქმული რამ არ მოვიხვიოთ თავზე, ისეთი ჩვენს იდენტობას, ისტორიას, კულტურას რომ არ ეკადრება.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის გახსნა დაანონსდა ამ დღეებში საქართველოში...

გვესმის, თუ ევროპელობა გვსურს, მათი შეგონებებიც ყურად რომ უნდა ვიღოთ, მაგრამ არის კი საქართველოში იმდენი შემთხვევა ოჯახური ძალადობისა, მის მსხვერპლთა ბედზე ევროპის მასშტაბით რომ გვიწევდეს ფიქრი?

ჭიქაში ატეხილ ქარიშხალს ხომ არ ჰგავს ეს კონკრეტული შემთხვევა?

ქალთა უფლებების დაცვა იყო და რჩება საერთაშორისო ორგანიზაციების ზრუნვის საგანი და თემა.

რამდენადმე გავკადნიერდებით და საკუთარ მოსაზრებას გავახმიანებ თემასთან დაკავშირებით.

საქართველოს შემთხვევაში სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ტრენინგ-მონიტორინგების მოწყობას ხომ არ აჯობებდა შეგვემუშავებინა გარკვეულ პერიოდზე გაწერილი პროგრამა, რომლის წყალობითაც საზღვარგარეთ სამუშაოდ გადახვეწილ ქალბატონებს დავბრუნებდით სამშობლოში, ოჯახებში და აქ, ადგილზე უზრუნველვყოფდით მათ დასაქმებას?

ბევრი რამ ნამდვილად უნდა ვისწავლოთ, შევიმეცნოთ ევროპიდან, მაგრამ ქალისადმი პატივისცემა?

სხვა თუ არა, როდის იყო ქალის კულტი ჩვენ ქვეყანაში დაგვავიწყდა, თუ განგებ ვივიწყებთ?

ამ დღეებში ეთერში გაიჟღერა ინფორმაციამ _ არჩევნებთან ერთად რეფერენდუმის ჩატარება-არჩატარებასთან დაკავშირებით _ რათა ჰკითხონ ქართველ ერს, რას მიიჩნევენ ოჯახის შექმნის სათავედ _ ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირს თუ...

ნუთუ აქამდე დავეცით, რომ დღის წესრიგში დგას მსგავსი კითხვით ქართველ ერს მივმართოთ?

ამჯერადაც ჭიქაში ხომ არ ვტეხთ ქარიშხალს?

პრობლემები თავსაყარადაა ქვეყანაში...

უმუშევრობა...

დღემდე შენარჩუნებული მძიმე სოციალური ფონი...

მაღალი რანგის ჩინოვნიკთა თანამდებობებიდან მალიმალ წასვლა თუ გაშვება...

...

ამ დროს კი განგაშის ზარები არ უნდა დავაქუხოთ, მაშინ, როცა ამისი აუცილებლობა არაა.

რაც შეეხება, ერთი, ორი ჭკუასუსტი, ტვინამდვრეული თუ ვინმე გამოგვერია 5 მილიონიან ქვეყანაში, ძირშივე უნდა მოვიკვეთოთ (რა თქმა უნდა, ცივილური მეთოდებით) მათი უმსგავსობა კი ქვეყნის უბედურებად არ უნდა აღვიქვათ.

დაბოლოს, ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირით რომ უნდა შეიქმნას ქართული ოჯახები სალაპარაკო, განსჯის საგანია ეს ელემენტარული ჭეშმარიტება?

ლევან გაბეჩავა

ჩა ხდება საგანმანათლებლო რესურსცენტრში?

ერთ-ერთი ყველაზე დასაქმებული სფერო არა მარტო მუნიციპალიტეტში, არამედ ქვეყანაში განათლების სისტემაა.

წელზე მეტი გავიდა, რაც სამტრედიის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო რესურსცენტრი უფროსის გარეშე, უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ხელმძღვანელობით წარმართავს მუშაობას (არცთუ ურიგოდ). ყოველივე კი თავად უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, რესურსცენტრში დასაქმებული თითოეული ადამიანის პროფესიონალიზმის შედეგია.

თვალს ვადევნებთ საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პროცესებს და არც ერთი სერიოზული შენიშვნა, რესურსცენტრს რომ უკავშირდებოდეს არ დაფიქსირებულა, ყოველ შემთხვევაში, განსჯის საგანი არ გამხდარა.

იბადება კითხვა:

რატომ ჭიანურდება საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის დანიშვნა ამდენ ხანს, როცა, როგორც ადგილზე რესურსცენტრში, ისე სისტემაში (მუნიციპალიტეტის მასშტაბით) ამ თანამდებობისთვის შესაფერისი არა ერთი და ორი ღირსეულის შერჩევაა შესაძლებელი?

კადრები დღესაც წყვეტენ ყველაფერს, მთავარია, მათ მიიღონ დროული, ობიექტური გადაწყვეტილება, ვისაც ეს ევალება.

ძნელია მოლოდინის რეჟიმში თვეობით, წლობით მუშაობა და საქმიანობა...

ლევან გაბუჩავა

თარიღი

ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო

ერმა დედა უნივერსიტეტის მესაძირკვლე, საქართველოს ისტორიის მამა გიწოდოს, უდიდესი პატივია და აღიარება.

სწორედ ივანე ჯავახიშვილმა აღასრულა დიდ ერისკაცთა მრავალწლიანი ოცნება _ საქართველოში პირველი უმაღლესი სახელმწიფო სასწავლებლის, შემდეგ პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნით რომ გამოიხატა.

1918 წლის 8 თებერვალი იყო მაშინ.

დიდი ივანე ჯავახიშვილი 42 წლისა გახლდათ მაშინ, თუმცა, სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოებაში უკვე გამორჩეული, ანგარიშგასაწევი მეცნიერის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

განუსაზღვრელად დიდია მეცნიერის წვლილი უნივერსიტეტის ზრდისა და განვითარების, კვალიფიციური კადრებითა და სათანადო მატერიალური ბაზით უზრუნველყოფის საქმეში.

შეუძლებელია ამომწურავად საუბარი ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ კვლევებზე, მათ მნიშვნელობაზე ჩვენი ერის კულტურული, ისტორიული წარსულის უკეთ, საფუძვლიანად შეცნობისა და შესწავლის საქმეში.

1918 წელს, უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ჩამოყალიბდა ისტორიის კათედრა, რომლის პირველი გამგეც (1918-1931 წ. წ.) ივანე ჯავახიშვილი გახლდათ.

სხვადასხვა დროს კათედრას ხელმძღვანელობდნენ: სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, შოთა მესხია, მარიკა ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი... სწორედ მათი ხელმძღვანელობით კათედრის წევრები აქტიურად იკვლევდნენ და იკვლევენ საქართველოს ძველი, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხებს, აგრეთვე, ისტორიის დამხმარე მეცნიერულ დისციპლინებს.

აღსანიშნავია, რომ სწორედ უნივერსიტეტის ისტორიის კათედრაზე მომზადდა გამოსაცემად ენციკლოპედიური ლექსიკონი ''ივანე ჯავახიშვილი'', სადაც თავი მოიყარა დიდი მეცნიერის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველმა მასალებმა.

ეს იყო პირველი ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელიც მხოლოდ ერთი პიროვნების ცხოვრებასა და შემოქმედებას, მეცნიერულ კვლევებს ეხება.

1940 წელი.

ქართულმა ეროვნულმა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა.

მოულოდნელად, 64 წლისა, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში მისივე ძალისხმევით დაარსებულ უნივერსიტეტში, ლექციაზე აღესრულა უნივერსიტეტის მესაძირკვლე.

გავიდა დრო და უნივერსიტეტს დიდი მეცნიერის სახელი ეწოდა.

დღეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი მძლავრ საგანმანათლებლო კერას წარმოადგენს არა მარტო საქართველოში, მსოფლიოში, სადაც ცოდნას ასობით ქართველი და უცხოელი ახალგაზრდა ეუფლება.

დიდი ივანე ჯავახიშვილის სპეტაკი სული, უკვე ზეციურ საქართველოში დავანებული, უეჭველად ადევნებს თვალ-ყურს და ხარობს ქართული სამეცნიერო სკოლის, უნივერსიტეტის მიღწევებით.

140 წელი სრულდება ამ დღეებში ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან.

ლევან გაბუჩავა

''რადარამელები'' სამტრედიაში

ნათია ნაცვლიშვილი

ცნობამ ''რადარამელების'' სამტრედიაში ჩამოსვლის შესახებ ძალიან გაახარა ყველა ის ადამიანი, ვინც გამომცემლობა ''რადარამის'' მიერ გამოცემული წიგნების მეგობარია. ამჯერად სამტრედიაში მათი ვიზიტი კონკრეტული წიგნის წარდგინება იყო. მუნიციპალიტეტის სათათბირო დარბაზი ხალხით იყო გადავსებული. გამომცემლობა არასამთავრობო ორგანიზაციის ''რადარამის'' ერთ-ერთი პროფილია, მათი საქმიანობა გაცილებით ფართოა და საინტერესო. სწორედ ამ საკითხებზე ისაუბრა მარიამ ადუაშვილმა, ამ არასამთავრობო ორგანიზაციის დირექტორმა.

მარიამ ადუაშვილი: ''რადარამი'' პირველი ქართული არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციაა, ჩვენ ბოლო წლების არამხატვრული ჟანრის ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა და ბეჭდვა დავიწყეთ. ვცდილობთ, უფასოდ ან მინიმალური საფასურის სანაცვლოდ მოვიპოვოთ წიგნების თარგმნისა და ბეჭდვის უფლება და ისეთი თარგმანი შევთავაზოთ მკითხველს, რომელიც მაქსიმალურად ახლოს იქნება ორიგინალთან და ამასთანავე, კარგადაც იკითხება. გვინდა, რეგიონული წიგნის კლუბებიც დავაარსოთ, სადაც ჩვენს მკითხველებს შეეძლებათ, შეიკრიბონ და ''რადარამის'' წიგნებზე ისაუბრონ''.

''საგზაო მოძრაობა'' _ რატომ ვატარებთ მანქანას ისე, როგორც ვატარებთ'' _ ტომ ვანდერბილთის ავტორობით გამოცემული ამ წიგნის პრეზენტაცია მოეწყო შეკრებილი აუდიტორიის წინაშე. წიგნის პრეზენტატორი ჩვენი კოლეგა, ნინო ნანიტაშვილი იყო. მან გამომცემლობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია შეკრებილ საზოგადოებას და აღნიშნა:

''რადარამის'' მიერ გამოცემული წიგნები ისეთ აქტუალურ საკითხებს ეხება, როგორიცაა: გლობალიზაცია, ეკონომიკა, გარემოს დაცვა, პოლიტიკა, მეცნიერება, ფსიქოლოგია და ა. შ. ''რადარამელები'' თარგმნიან და გამოსცემენ ბოლო დროის საერთაშორისო ბესტსელერებს. მათ ბოლოდროინდელ ინიციატივას, დააარსონ რეგიონალური წიგნის კლუბები, ქვეყნის მასშტაბით დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ისინი საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში მოგზაურობენ ამ მისიით, ამჟამად სამტრედიაში მუნიციპალიტეტის გამგებლის ვალერიანე ფოცხვერიას მოწვევით იმყოფებიან''.

ნინო ნანიტაშვილმა წიგნზე სასაუბროდ ასევე მოიწვია ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ავტოსკოლა ''g. l. A''-ს დირექტორი, გიორგი აბრამია. გიორგის, როგორც ავტომრბოლელს, კარგად იცნობს საზოგადოება, ამდენად, პრეზენტატორმა მას, როგორც კვალიფიციურ სპეციალისტს, დაუსვა შეკითხვა, როგორ მოეწონა მას ახალი წიგნი და რას ურჩევდა მძღოლებს. გიორგიმ წიგნი მოიწონა და შეკრებილთ მისი წაკითხვაც ურჩია. მან მძღოლებს ფეხით მოსიარულეთა ინტერესების დაცვისა და მათდამი პატივისცემისაკენ მოუწოდა.

საინტერესო წიგნის წარდგენა ნინო ნანიტაშვილმა ლეგენდარული ავტომრბოლელის, შუმახერის სიტყვებით დაასრულა, რომელიც მძღოლის ერთგვარ კონსტიტუციად და ბიბლიად შეიძლება ჩაითვალოს: ''ნუ ვივლით ჩვენს მფარველ ანგელოზზე სწრაფად!''

''რადარამელები'' სამტრედიაში ხელდამშვენებულნი გვეწვივნენ. დარბაზში მსხდომთ პრეზენტაციის შემდეგ საინტერესო წიგნების შინ წაღებაც შეეძლოთ. მათ შორისაა საერთაშორისო ბესტსელერი ''გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება'', ''საგზაო მოძრაობა'' და მრავალი სხვა... ჩვენს მუნიციპალიტეტში ახალი წიგნის საინტერესოდ წარდგენის გამო მარიამ ადუაშვილმა მადლობა გადაგვიხადა და თანამშრომლობის სურვილით დაგვემშვიდობა.

ჩიტო დეიდა

ბიბლიოთეკა მნიშვნელოვანი ინტელექტუალური კერაა. ღვაწლმოსილი, სათნო ქალბატონი ჩიტო ავალიანი თავის საქმეს საჯავახოს საშუალო სკოლაში დიდი პასუხისმგებლობით უძღვებოდა. კლასის ხელმძღვანელები, საგნის მასწავლებლები და უფროსი პიონერხელმძღვანელი მასთან ყოველდღიურ კავშირში იყვნენ. ტარდებოდა საინტერესო ღონისძიებები, დისპუტები, მკითხველთა კონფერენციები, წიგნის განხილვა და ა. შ. არ შემიძლია განსაკუთრებით არ გამოვყო ისტორიის მასწავლებელიო, ღრმად განათლებული ზურაბ კოღუაშვილი, ზესტაფონელი კაცი, რომელიც ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. აქ იკრიბებოდნენ ნიჭიერი მოსწავლეები. ისინი დიდი ინტერესით ეცნობოდნენ საქართველოს ისტორიულ წარსულს და მხატვრულ ლიტერატურას. ბიბლიოთეკარი იკრებდა წიგნის მოყვარულთ და ხელს უწყობდა მათი ინტერესების გაღრმავებას.

ჩიტო ავალიანი წიგნებს სათუთად უვლიდა, აქაც ზურაბ მასწავლებლის ინიციატივით შექმნილი წიგნის ''რესტავრატორთა'' ჯგუფი მუშაობდა. ისინი მცენარეულ წებოს აგროვებდნენ, შემდეგ სათანადო წესების დაცვით, ზურაბ მასწავლებლის რეცეპტის მიხედვით ამზადებდნენ და უდიერ მკითხველთა მიერ შელახული წიგნების აღდგენას ახერხებდნენ. ამით თითოეულ მკითხველში წიგნისადმი სათუთი დამოკიდებულება ყალიბდებოდა.

ჩიტო ავალიანი ომში დაღუპული მეომრის მეუღლე იყო. ორი ქალიშვილი ვაი-ვაგლახით გაზარდა და სათანადო განათლება მისცა. დეირანი შრომას ასწავლიდა, მისი მეუღლე ოთარ ბუიღლიშვილი გეოგრაფიის კარგი სპეციალისტი იყო და შესანიშნავად მღეროდა, სხვათა შორის, მასწავლებელთა სახლთან არსებულ ანსამბლშიც. ისინი სკოლასთან ახლოს ცხოვრობდნენ. ბიბლიოთეკარს ყველა ჩიტო დეიდათი მიმართავდა, ასე იყო ჩემთვისაც, მისი კერა ჩემი და ჩემი უახლოესი მეგობრის, დალილა მასწავლებლის საიმედო საბუდარი იყო. მახსოვს, გამოცდების ჩასაბარებლად თბილისში რომ გავემგზავრე, ოთახის ყვავილები მოსავლელად ჩიტო დეიდას დავუტოვე. სამტრედიაში ჩამოსვლისთანავე, ჯერ კიდევ სასწავლო წლის დაწყებამდე, სკოლაში ყვავილების მოსანახულებლად წავედი, ძალზე გავიხარე, როცა ისინი გაზრდილი და დამშვენებული დამხვდნენ. აღტაცება ვერ დავფარე და ყველა მათგანს მოვეფერე. როცა თავი ავწიე, დავინახე, სიხარულით ცრემლმორეული ჩიტო დეიდა. მას ახარებდა ჩემი სიხარული და არა მარტო ჩემი. ამიტომ გვიყვარდა იგი.

ნათელა გელუიშვილი

პოეზია

***
ყვავილი ყვავილს ლექსს უკითხავდა
თვის სურნელებით,
ამ ლექსს სიმღერით იმეორებდნენ
ხეზე ჩიტები,
ტოტიდან ჩუმად კვირტი ამოდის
ბალღის კბილივით
და ხეზე არბის გაზაფხული
მწვანე ხვლიკივით...
***
უცებ პეპელამ ნელი ფარფატით
წინ გამირბინა დილიან გზაზე,
თუ ჩამიქროლა დედის ბავშვობამ,
მხოლოდ ბაბთა რომ უჩანდა თავზე!
***
ნაზამთრალ მინდვრის ყვავილნი
ვაჟას საფლავზე მიდიან,
მერე კი ზაფხულისათვის
ალბათ, მის მერე იცლიან.
და როცა გვიბრუნდებიან,
ვითარცა დედის ნანანი
თან მოაქვთ ღმერთის სურვილი,
დიდ ვაჟას გამონატანი...
***
როცა ატამი მივართვი მოხუცს
თითქოს ციოდა, თითქოს შიოდა,
და რა ვიხილე! გაეხსნა ცა და
მზე თვალებიდან ამოსდიოდა...
არ ეწყინება, ალბათ, ზეცასაც
ამ ლექსის მთქმელიც რომ შეიყვაროს,
თურმე თვალებსაც ხომ შესძლებიათ,
უფრო თბილი მზე ამოიყვანოს.
***
გაელიმა, თითქოს გაერღვა მთელი სხეული და მთრთოლვარე და მფეთქავი გული გამოაჩინა...
***
გადმოპირქვავდა მზე კალათივით
და გადმოფერთხა რაც შიგნით ჰქონდა,
დღის ნამცეცები,
მერე მომადგა ჭიშკართან მთვარე
და ჩემს ეზოში შემოსვლას მთხოვდა,
და დაცლილი მზე, როგორც სიმღერა,
ნიავის ფრთაზე ტკბილად ნაშალი,
ისე დაღლილი ზღვას დაენავა
და ატივტივდა როგორც თავშალი...
***
დამთავრდა ცაზე ამ ზაფხულში უკვე მზის რთველი
გადმოიკრიფა მზის ნაყოფი მწველი და ნაზი.
და გადმოხრილი მოხუცივით გასწორდა ნელა
მისი დაღლილი ფერმკრთალი ტანი.
ტანთ აიწია, აიზმორა, წელში გასწორდა,
დამოკლებია მისი გრძელი მწვანე ხალათი,
მერე ღრუბლებით თითქოს ტანზე შემოიხვია
თეთრ ბულულებად მოკიაფე ზამთრის ხალათი.
***
თითქოს პარსავენ ცხვრებს თეთრ ღრუბლების
რომ მოუქსოვონ ზეცას სვიტრები,
მძინარე ზაფხულს შუაღამის მოკლე საბნიდან
როგორ მოუჩანს დილის წვივები...
დეკეულივით უმძიმდებათ ღრუბლებს ცურები,
რომ მიუბიათ ჭიგოებზე მწვანე რქეებით,
მოშიებულნი შემოდგომით დანასიზმრები
პირდაღებულან თიხის ქვევრები...

ერმილე თოფურია

12 აპრილი ავიაციისა და კოსმონავტიკის მსოფლიო დღეა!

მფრინავი ხალიჩიდან ზემძლავრ ავიაციამდე

წინათ, როცა ხალხი შედარებით გაუნათლებელი იყო, მფრინავ ხალიჩაზე ჰყვებოდა, რომელიც არავის ენახა და მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა.

დრო შეიცვალა.

მეცნიერება ასტრონომიული სისწრაფით განვითარდა.

მითი რეალობად იქცა და...

ადამიანმა დაიპყრო კოსმოსი.

პირველმა ქართველმა ავიატორმა ქებურიამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში მოაწყო საჩვენებელი ფრენა მის მიერ შექმნილი საფრენი აპარატით.

დიდ მიღწევად იქნა ყოველივე შეფასებული.

1926 წლის 16 მარტს, ამერიკელმა ინჟინერმა, რაკეტმშენებლობის პიონერმა რობერტ გოდარდმა ქალაქ ობერნთან (აშშ) კაცობრიობის ისტორიაში პირველი თხევადსაწვავიანი რაკეტა გაუშვა. ეს გახლდათ რაკეტმშენებლობის დასაწყისი.

დროის სვლასთან ერთად მეცნიერების კლევვის უცვლელი საგანი გახლდათ, მეტი შეეცნოთ კოსმოსის შესახებ, რაც ერთნაირად საინტერესო იყო ყველა კონტინენტზე მცხოვრებთათვის.

და მაინც, გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ფართომასშტაბიანი მეცნიერული კვლევები წარმოებდა არაერთ ქვეყანაში საიმისოდ, რომ კაცობრიობას აეთვისებია კოსმოსი.

1961 წლის 12 აპრილი...

''ვოსტოკ'' კოსმოსურმა ხომალდმა, რომელსაც საბჭოთა (რუსი) კოსმონავტი მფრინავი იური გაგარინი მართავდა, პირველმა მოახდინა მსოფლიოში ორბიტული კოსმოსური ფრენა.

ეს იყო უმნიშვნელოვანესი მეცნიერული მიღწევა და ისტორიული მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში.

ადამიანი აიჭრა კოსმოსში, პარალელურად ვითარდებოდა და ვითარდება ავიაცია.

დღეს კოსმოსი დედამიწელთათვის ისევ ისე საინტერესოა, როგორც წინათ, თუმცა, მეცნიერების წინსვლის წყალობით, თანდათან ხდება საფუძვლიანი შესწავლა დედამიწის მიღმა სამყაროსი.

სამწუხაროდ, არცთუ შორეულ წარსულში ამერიკა-საბჭოთა კავშირს შორის დაპირისპირება იქამდე მივიდა, რომ კაცობრიობა აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ეს მაშინ, როცა ამ ორმა გიგანტმა სახელმწიფომ ერთმანეთის ''დაჯაბნა'' კოსმოსიდან წარმოებული ომებით გადაწყვიტეს...

დღეს სხვა დროა...

საბჭოთა იმპერიაც დაიშალა და ამერიკაც მისი ნამდვილი სახით წარმოგვიდგა ყოფილ საბჭოელებს და არა ისეთი, საბჭოთა იდეოლოგია რომ გვიკიჟინებდა.

ინტერესი _ მეტი შეიცნონ კოსმოსის შესახებ, ამჯერადაც უდიდესია.

12 აპრილს 55 წელი სრულდება კოსმოსში პირველი დედამიწელის გაფრენიდან.

12 აპრილს მსოფლიო ავიაციისა და კოსმონავტიკის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს.

ლევან გაბიჩავა

უპრეტენზიო მსახიობი

ჩითისკაბიანი დიდედების სურნელი მოჰქონდა მის საუბარს, კუთხურკილოიანს.

დავით კაკაბაძის აჭრელებული პეიზაჟებიდან გადმოსული ბებიის სახედ შემოგვრჩა უანგაროდ ''ზრუნვის მყოფელი'' ქალი _ ''იმერული ესკიზებით'' მოსაგონებელი... თუმცა კი არა როგორც მსახიობი ან რეჟისორი, არამედ ჩვენი ყოფის ფერხორციანი ნაწილი, საოჯახო ფოტოალბომის თვალიერებისას ჭაღარა წინაპარს რომ მივამსგავსებთ.

ასე მგონია, ოთახში გამოკეტილი, ამზიანებულ გარემოს ერთადერთი ცივი კედლით გამოყოფილი ვერ იფიქრებ მასზე.

ნანა მჭედლიძე სოფლის ტყრუშულ ორღობეში მიმავალი, ხელებდაშუშხული თავსაფრიანია, სიბერით წელში მოხრილი, კიდევ _ დიასახლისი, ნაჭაზე მოჭრიალე გამურულ ქვაბთან მოფუსფუსე _ და მიწაზე ფარდაგად გაფენილი ისრიმისფერი ბალახიც.

ის არ მიელტვოდა განდიდებას...

იყო პირველი თანასწორთა შორის...

გაწინამძღვრდა კიდეც!

ოთხმოცდამეათედ დაუხვდა გაზაფხულს.

მეათე ათწლეულს შემყურე გაეცალა ამიერს...

უტყვად, უენოდ გაწარსულდა!

შოთა კაკავა

ზინა (ვენერა) ჩიტია-ბოხუა

ერთი წელი გავიდა, დედი! ძალიან გვიჭირს იმის წარმოდგენა, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ, გვაკლია შენი დარიგება, ძალიან გვენატრები, სულ იმას ვდარდობთ და ვწუხვართ, რატომ მეტად ვერ გაგიხანგრძლივეთ სიცოცხლე. უფრო ცუდადაც ყოფილხარ, მაგრამ გადაგარჩინეთ. ვერ შევგუებივართ იმას, რომ შენ შენი დაავადებით არ გარდაცვლილხარ, უბრალოდ, გრიპისგან ვერ გიხსენით. რა შეეშალათ? რა ვერ გაგიგეს? რამდენი ცოდვა უნდა იტვირთონ? ჩვენ ხომ შვილები და შვილიშვილები უკან არაფერზე ვიხევდით, რატომ ჩაგვიყარე, დედა, ყველაფერი წყალში, 18 დღის განმავლობაში თბილისში 5 საავადმყოფო გამოგიცვალეთ შენი ვაჟკაცი შვილიშვილების წყალობით. ამბობენ, დედაშვილობაში ასაკი არ მოდისო, მართლაც ასე ყოფილა, მოსმენაც არ გვინდა იმის, რომ შენზე წარსულში ვილაპარაკოთ. დედა, როგორ გიხაროდა, რომ გეტყოდნენ ექიმები, შვილები და შვილიშვილები როგორ არ მინახია, მაგრამ ასეთი არაფერი, რასაც ესენი გიკეთებენო. აჩომ არავის დაანება შენი თავი თბილისიდან გარდაცვლილი რომ მოგვყავდი, ბებოსთან უნდა ვიყო მანქანაში, ჩემთან ბებოს არ შეეშინდებაო. ზღაპრული ამაგი გქონდა შვილიშვილებზე. კიდეც დაგიფასეს შენმა დიტუკამ, ლაშუკამ, აჩომ და გაგუნიკომ. შვილიშვილი ლუკა ხშირად გახსენებს, ჩემი ზინა ბებიკოო. ნიკუშა ძალიან პატარაა, ჯერ არაფერი მოეთხოვება დედა, შენს პირველ შვილიშვილს ქალიშვილი შეეძინა, პატარა თეკლა, რასაც ვერ მოესწარი. ახლა მაქედან გვლოცავ ყველას, ჩვენო დიდო იმედო და შეუფასებელო ტკივილო!

მზევინარ ბოხუა

ავთანდილ ტორონჯაძის გახსენება

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ღირსეული სამტრედიელი, საპატიო რკინიგზელი **ავთანდილ ტორონჯაძე** გამოაკლდა საყვარელ ოჯახს და ჩვენს ქალაქს.

საყვარელ მამას და ბაბუას იხსენებენ შვილები: ბადრი და გივი, შვილიშვილები: ავთანდილ, დათო, ლევან და ნინო ტორონჯაძეები.

აზა მელქაძე, გურამ ლეთოდიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ენდოკრინოლოგ დარეჯან ჯანელიძის მეუღლე

გია კუზგაშვილი

და თანაუგრძნობენ ოჯახს.

რამაზ ფანცულაია და მზევინარ ბოხუა თანაუგრძნობს ნელი ვეკუას ოჯახს, შვილის

დემურ ვეკუას

გარდაცვალების გამო.

''სახლი თანადგომა'' თანაუგრძნობს ნელი ვეკუას, შვილის

დემურ ვეკუას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ 'სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს კახა ფურცელაძესა და ნონა მატარაძეს დედისა და დედამთილის, ქალბატონი

დონის

გარდაცვალების გამო.

1000 ლარიანი სამტრედიელი "ლარიენიდან"

მიდილარიენ, მოდილარიენ, უყვარლარიენ, ზილარიენ, წოლარიენ ... და ასე შემდეგ, მანამ, სანამ სამტრედიაში მხიარულთა და საზრიანთა გუნდი "ლარიენ" არ შეიქმნა. ჰო, ასე სამტრედიულად, "ლარიენ". დათო ლეჟავა მისი წევრი 15 წლის ასაკში გახდა. მერე სტუდენტობამაც "მოაწია" და, უკვე სტუდენტის ამპლუაში განაგრძო მანსანკანელობა დათო ლეჟავამ, სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა და ამჯერად საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტმა. გუნდი "იუჯი" მეგობრებთან ერთად შექმნა. დებიუტანტის პირობაზე იმედისმომცემ წარმატებებსაც მიაღწიეს საქართველოს მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატზე, თუმცა, "ფინალი ჩვენი ტკივილია!" _ ეღიმება მას.

საყვარელი ხუმრობა? კი ბატონო: "ქართველი ქალი ძალიან ჰგავს ძაღლს, ხომ ურტყავ, მაგრამ "ჩუსტები" მაინც მოაქვს!" ხუმრობაზე ეტყობა, ახალი ქართველი რომ არის ევროპული მისწრაფებებით.

სამტრედიის გაგონება, რა თქმა უნდა, კარგ კონტექსტში, ყველგან დიდად სასიხარულოა ყველა სამტრედიელისთვის. ამიტომ, ყველა ინტერესით ელოდა სატელევიზიო რეკლამებში სამტრედიელის გაჟღერების შემდეგ დათო ლეჟავას პოპულარულ პროექტ "გააცინე და მოიგეში". ტელეეკრანებთან მსხდარ სამტრედიელებს ძალიან გაუხარდათ, რომ მან ბოლომდე გაუძლო გაცინებულ-გაუცინარ პაექრობას და 1000 ლარი გამარჯვების ნიშნად მოიპოვა.

მეგობრების რჩევით და წაქეზებით ხუმრობები დაწერა და კონკურსში გამარჯვებაც არცთუ ძნელი აღმოჩნდა მისთვის. "დაძაბული ვიყავი, დროზე ხარ დამოკიდებული და კიდევ, ხომ გესმით, სტანდარტულია სცენა თუ არასტანდარტული, სცენაა მთელი თავისი დატვირთვით. ამჯერად გამომივიდა. საკუთარ თავს ვუსურვებ, მომავალშიც ბევრი წარმატებული, კარგი და კეთილი საქმე გამომივიდეს. ვეცდები, შრომა და მონდომება არ დავაკლო." _ ამბობს სტუდენტი მანსანკანელი. დათოს ხუმრობის არ იყოს, მერე რა, რომ სამტრედიელი გოგონები ხონში დადიან სიგარეტის მოსაწევად, თანამედროვეობა, თუ უკვე არ, ამ "უხერხულობასაც" სწრაფად მოხსნის და ... სახუმაროს რა დალევს ღიმილის, კეთილგანწყობის, სიმღერის ქვეყანაში. თავისი კოლორიტით გამორჩეულ სამტრედიასაც ბევრი ექნება გასაცინებელ-გასაღიმებელი, ღმერთმა საქილიკოსგან დაგვიფაროს!

მოგებული 1000 ლარი? ასეც მოხდებოდა, მეგობრებთან ერთად დაიხარჯა. წინ კიდევ უფრო დიდი მოგებები იქნება ამაზე მეტი თანხითაც და სულაც უთანხოდ, მთავარია, გამარჯვება ერქვას და სასახელო იყოს წარმატებით დაწყებულ ნებისმიერ საქმეში!

თეა ბაბუნაშვილი

სპორტის საერთაშორისო დღე მეგობრული ტურნირით

10 მოყვარული მოჭადრაკე გასული წლის მსგავსად წელსაც შეიკრიბა ძალების გამოსაცდელად. წრიული სისტემით ჩატარებული ტურნირი მხიარულ და თბილ გარემოში ჩატარდა. ტურნირი ერქვა, თორემ მეგობრების შეხვედრა გამოვიდა ინტელექტუალური სპორტის ამ სახეობაში. მისი ყველა მონაწილე ადგილობრივი გამგეობის ახალგაზრდა თანამშრომელი გახლდათ. თუმცა, ძალები ბანკი "რესპუბლიკას" ორმა წარმომადგენელმაც მოსინჯა. ერთი მათგანი სიმონ ხაჟალია იყო, ამ ფორმით ჩატარებული ტურნირის გასული წლის გამარჯვებული. წლების წინ მისი საჭადრაკო მიღწევები ხშირად ხდებოდა წარმატებებზე ხმამაღლა საუბრის საბაბი. ამიტომაც, ტურნირის დაწყებამდე ხუმრობდნენ მეგობრები, თუ სიმონი თამაშობს, ჩვენ აღარ გვინდაო!

"სპორტის საერთაშორისო დღე ამ ფორმით აღვნიშნეთ. ადგილობრივმა გამგეობამ ფულადი პრიზებიც დააწესა. ამგვარ ტურნირს ყოველწლიურად ვატარებთ და ერთგვარ ტრადიციადაც იქცა." _ აღნიშნა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ.

ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილე მარიამ გოთოშია გახლდათ. მისი საჭადრაკო მიღწევები სამტრედიელებისთვის კარგადაა ცნობილი.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია გულშემატკივრის ამპლუაში დაესწრო მას. ჩემი ფავორიტი მაკა უგულავაა, გამგეობის თანამშრომელიო, განაცხადა.

ფულადი პრიზები გამარჯვებულთათვის ადგილობრივმა გამგეობამ დააწესა. პირველ ადგილზე 200, მეორეზე 100, მესამეზე გასულს კი 50 ლარი ერგოთ.

ტურნირის გამარჯვებულის ტიტული არც წელს დათმო ბანკ "რესპუბლიკას" თანამშრომელმა სიმონ ხაჟალიამ. მეორე ადგილზე მარიამ გოთოშია, მესამეზე კი ნათია კვანტალიანი გავიდა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წამყვანი სპეციალისტი.

ამგვარი ტურნირების ტრადიცია, რა თქმა უნდა, გაგრძელდება, მეგობრობის გასაღრმავებლად და ამ ინტელექტუალურ სპორტში, თუნდაც, სამოყვარულო დონეზე ძალების გამოსაცდელად.

თეა ბაბუნაშვილი

ფესტივლებზე გადარიეს
ევროპა და აზია,
სადაც იყვნენ, იქ აჩვენეს
ქართული ფანტაზია.

სამტრედია ასახელეს,
ჩვენც ვაქვეყნებთ მაგიტომ,
ნახეთ, როგორ გააშარჟა
ეს ბავშვები ზალიკომ.

მადლობა

ჰიპოკრატეს ექიმის ფიცის უბადლო შემსრულებელს, ენდოკრინოლოგ, ექიმ დარეჯან ჯანელიძეს არასამუშაო საათებში ჩემი დახმარებისა და კომიდან გამოყვანისათვის.

მადლობა ექიმ ია ხოშტარიას სამედიცინო სფეროში უანგაროდ მუშაობის, სწორი დიაგნოზის დასმისა და შედეგიანი მკურნალობისათვის.

პატივისცემით აზა მელქაძე

იყიდება

კეთილმოწყობილი სახლი, 2500 მეტრი ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით.
მისამართი: სოფელი ჭაგანი. საკონტაქტო ტელეფონი: 593 66 82 60; 557 20 80 44.

მერი შეყრილაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ, ქალბატონო მერი. წლები ვერაფერს გაკლებთ. ღიმილიანს, თბილ და მოსიყვარულე ადამიანს, თქვენს მრავალრიცხოვან მონაგართან ერთად, ბევრი ლამაზი დღე გაგთენებოდეთ!

ქეთევან ჭელიძე

მერი დეიდა, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერ ხანდაზმულობას შენს საყვარელ შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად.

მსგავსი შემართებით გადასულიყავით 89-დან 90 წელში.

მზევინარ გოჩუა

ანა თხილავას!

გილოცავთ, ჩვენო ანა, დაბადების დღეს. თქვენს ცხოვრებაში წელთა მატებას მხოლოდ სიკეთე მოეტანოს. გვიყვარხართ და გვეამაყებით. ისეთი, როგორიც ხართ, მშვენიერი, კდემამოსილი და იმავდროულად სათნო. მუდამ გაზაფხულს ეხეიმოს თქვენს სულსა და გულში!

"სამტრედიის მაცნე"

მზია ჯინჭველაშვილს!

70 წლის იუბილეს გილოცავთ კომპოზიტორ ქალბატონს, ენერგიულს და ნიჭიერ შემოქმედს კვლავაც არ გაგნელებოდეთ სურვილი და შესაძლებლობა, სიყვარულით გამთბარი მელოდია უძღვნათ თქვენს საყვარელ სამტრედიას და სამტრედიელებს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია

ჩვენო ანანო!

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს! სიხალისე, სინატიფე, სინარნარე არ მოგაკლოს ღმერთმა, შენი ცხოვრების უამრავ ლამაზ გაზაფხულს დაესწარი, გაგეხარებინოს ოჯახი წარმატებული მომავლით, გვეამაყოს შენი კარგი ქართველ ქალობით!

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა